პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

№ 239 ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 400,000 მან. № 239

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24,
ტელეფონი 5-48.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე. ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—8.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—8.500.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 5.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— გერმანიაში დაიწყო სამოქალაქო ომი, მუშებს და პოლიციას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება.

— გერმანიის მთავრობამ საქსონიის საზღვრებზე გააძლიერა ჯარი, რომ ხელი შეუშალოს ტიურინგიის და საქსონიის ფაბრიკა-ქარხნების გაერთიანებულ ყრილობას.

— ვარშავის ციხის აფეთქების გამო, მთელ პოლონეთში დაიწყო კომუნისტების დატუსაღება.

— რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე კომიტეტმა ბულგარეთის ლტოლვილთათვის გადასდო 10,000 დოლარი.

დღეს, 18 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის სხდომა

კავშირების ცენტრ. გამგეობის წევრებთან ერთად.
დღის წესრიგშია: ყურულაშვილის მოხსენება:

ხრ. რუს. პრ.—კავშ. საბჭოს პლენუმის შესახებ

პრეზიდიუმის და ცენტ. გამგეობის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ს. პ. კ. ს. მდივანი **გუგუშვილი.**

სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ყრილობა

სრულიად საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტების ყრილობა მოწვეულია 28 ოქტომბრისათვის. ყველა სამაზრო საინიციატივო ბიუროს ევალებათ მოამზადონ დელეგატები ყრილობისათვის.

ყრილობის დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა და სოციალისტური რევოლიუციის პერსპექტივები მომხ. **პ. მეგრელიშვილი.**
2. პარლამენტარული დემოკრატია თუ პროლეტარიატის დიქტატურა—მომხ. **ალ. ცინცაძე.**
3. საბჭოთა აღმშენებლობა—მომხ. **თარაიანი.**
4. ეროვნული საკითხი—მომხ. **გ. გიორგაძე**
5. სრულიად საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ყრილობის შედეგები—მომხ. **არჩილ რუხაძე**
6. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია—მომხ. **შალვა ხიხარულიძე.**
7. მიმდინარე საკითხები.
8. დეკლარაცია.

სრულიად საქართველოს ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების მომწვევი საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარე: **ალ. ცინცაძე.**

წევრები: მეგრელიშვილი პარმენ, ტარიანი არმენაკ, ხიხარულიძე შალვა, გიორგაძე გიორგი, ლომთათიძე აპალონ, პაიჭაძე ალიოშა, ციცაბაძე ვალიკო, მარშანია აპალონ, პატარაია შალვა, ბახტაძე ვალია.

ერთი ძირითადი ამოცანათაგანი

ჩვენ ამ დღეებში ვსწერდით „მოსავლის დღესასწაულის“ შესახებ, რომელიც უნდა ჩატარდეს მიმდინარე თვეში.

ამ დღეს ჩვენ მიულოცავთ გლეხობას მისი ოფლით და მარჯვენით მოწეულ ჭინახულის და სხვა მოსავლის აკრეფას.

გლეხობა სამართლიანად შემოგვჩივლებს: ძალღონე არ დამიზოგავს, წლის საზრდო დავამზადე, მაგრამ ჩემი ნამუშევარი ჩალის ფასად ღირს და გაჭირვებიდან თავი ვერ დამიღწევიაო.

მართლაც, ყველაზე უფრო საჭირ-ბოროტო და მწვავე საკითხი, რომლის გადაჭრა დღემდე ვერ მოგვიხერხებია, ესაა პროპორციის სრული დარღვევა სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებსა და ინდუსტრიის პროდუქციას შორის, საარაკო სიძვირე უკანასკნელის პირველთან შედარებით.

რომ აღარ ვილაპარაკოთ გლეხობის ღატაკ ნაწილზე, რომელსაც არასოდეს არ მოსდიოდა ბაზარზე გასატანი ზედმეტი ჭირნახული, საშუალო გლეხობაც, რომელიც ათეული ფუთობით ჰყიდის თავის ნაწარმოებს, მეტად მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი: ათი-ხუთმეტი ფუთი ხორბლეულით ის ერთი სათეთრეულო ნარმის და მიტკლის შეძენას თუ მოახერხებს. გლეხს აკლია პირველ მოთხოვნილების საგნები: ჩასაცმელი, ნავთი, მარილი, ლურსმანი და სხ.

ასეთი მდგომარეობა, უეჭველია, დიდ საფრთხეს უმზადებს გლეხობის და მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებას, თვით სასოფლო-მეურნეობის აღორძინებას და საბოლოო ანგარიშით სახელმწიფოსაც.

ჩვენ მოკლე დროში უნდა გამოვნახოთ საშუალებები გლეხობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ფაბრიკატებით. ამისათვის საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, როცა, ერთი მხრივ, გლეხის ნაწარმოები მოიპოვებს ასე თუ ისე ნორმალურ ღირებულებას, მეორე მხრივ—შედარებით გაიაფდება მრეწველობის პროდუქცია, და ამგვარად სოფლის მოსახლეობა შესძლებს თავისი ნამუშევარით აუცილებელ ფაბრიკატების შეძენას.

საბჭოთა ხელისუფლების მთელი მეცადინეობაც აქეთკენაა მიმართული, მაგრამ, უნდა უთქვას, რომ ჯერ-ჯერობით საგრძნობი შედეგი არ არის მიღწეული.

პირველ ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ ხეირიანი ბაზარი უნდა მოუპოვოთ გლეხის ნაწარმოებს და კერძოდ პურეულს. საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა შესძლოს პურის შეძენა გლეხობისაგან ასე თუ ისე რიგიან ფასებში როგორც შინაური საჭიროებისათვის, ისე უმთავრესად საექსპორტოდ უცხოეთის ბაზარზე.

დღეს კი რამოდენიმედ ისეთი მდგომარეობაა სოფლად, რომ დიდი გასავალი აქვთ ჩარჩებს და სპეკულიანტებს, რომელნიც „კიტრის ფასად“ ალლიან გაჭირვებულ გლეხობას მის ნაამაგარს. ჩარჩები უნდა აილაგმონ, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოების, უწინარეს ყოვლისა ეკონომიურ-კომერციული საქმიანობით.

ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, თუ სახელმწიფო და კოოპერაცია მოახერხებენ გლეხობისათვის ეკვივალენტის მიცემას მისგან საქონლის შეძენისთანავე. გლეხობას ეხლავე ესაჭიროება ფაბრიკატები. ის უპირატესობას აკუთვნებს ეხლავე ნაკლებ ფასებში, მაგრამ ნაღდად გაასაღოს თავისი საქონელი, ვინემ დიდხანს ილოდინოს და მეტი აიღოს.

ამასთან მთავარი საქმე ის არის, რომ გლეხობას მივაწოდოთ ფაბრიკატები შედარებით იაფ ფასებში.

როგორც ვთქვით, ჩვენი მრეწველობის პროდუქცია ძალიან ძვირია. ამას მრავალი ობიექტიური მიზეზები აქვს. ქარხნების აღდგენა და რემონტი, რისთვისაც თანხა უნდა იქნას გაღებული მიმდინარე შემოსავლიდან, ფულის კურსის მერყეობა, რაც აძნელებს სწორი კალკულიაციის მოგვარებას, და მრავალი სხვა გარემოება ქმნიან ხსენებულ სიძვირეს.

მაგრამ ყველაფერს ობიექტიურ პირობებს ვერ გადავაბრალებთ. ბევრი რამ აიხსნება ჩვენი აღებმიცემობის, ვაჭრობის მოუწყობლობით, რაც იწვევს სრულიად გაუმართლებელ ზედმეტ ხარჯებს. საქონელი, სანამ მისი გამომშვები ფაბრიკიდან მომხმარებლებამდე მიაღწევდეს, გადის აუარებელ ინსტანციას, რომელთაგან თვითეული ადებს მას საგრძნობ პროცენტებს მოგებისათვის და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად. ამასთან ჯერ კიდევ ვერ მოგვიშორებია თავიდან ათასგვარი კერძო შუამავლები, რომელნიც პარაზიტებად აწვანან ხალხის სამეურნეო ორგანიზმს.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ სოფლისათვის თავის დროზე საქონლის მიწოდება, მასთან უშუალო დამოკიდებულების გაბმა. სოფლად ხშირად შეხვდებით, რომ კოოპერატიული დუქნები ცარიელია და მომხმარებელი მასა ჩაუგდიათ ხელში ჩარჩ-ბაცაცებს, რომელნიც ჩვენზე გაცილებით უფრო ძვირად ჰყიდიან საქონელს. არ კმარა მარტო, მაგ., ტფილისში და სხვა მსხვილ ქალაქებში გავხსნათ სავაჭრო მაღაზიები. გლეხობა ამით ნაკლებად სარგებლობს. ჩვენ უნდა შევიჭრათ ჩვენი საქონლით გლეხურ მომხმარებელ მასის შუაგულში.

ამისათვის საჭიროა გამარტივება ჩვენი სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული აპარატის, მისთვის მოქნილი ხასიათის მიცემა, ამასთან ჩამოშორება ყველა ზედმეტი შუამავალ ორგანოების და პირებისა, რომელთა შენახვა დიდძალ საშუალებებს ითხოვს.

ამ ამოცანების გადასაჭრელად დიდი მუშაობა სწარმოებს ამ ბოლო დროს რუსეთში.

საკითხი გადადებას ვერ ითმენს. მის გადასაწყვეტად ჩვენ უნდა ავამოძრავოთ ყველა ჩვენი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანოები.

ახალი ომის კიდევ ერთი ფაქტორი

ჯერ კიდევ ნახევრად დამთავრებული არ იყო კორფუს კონფლიქტი, რომ საგრძნობლად გართულებულ ფიუმეს საკითხის გარშემო შეიქმნა თავსამტვრევი სიტუაცია, ახალ კონფლიქტთა და გართულებათა პერსპექტივებით. სრულიად საფუძვლიანია ლოიდ ჯორჯის სარკაზმი მის უკანასკნელ წერილში „დეიჩ ალგემეინე ცეიტუნგ“-ში, ერთა ლიგის მნიშვნელობის შესახებ იტალო-ბერძენთა კონფლიქტის მოგვარებაში; მისი ირონია ანტანტის დიპლომატთა მიმართ, რომელნიც კმაყოფილი დარჩენ კორფუს კონფლიქტის „უმტკივნეულო“ გადაჭრით. „ქვენიადაგის ზანზარი ადრიატიკის ჩრდილო ნაწილში, — სწერს ის — თანდათანობით ძლიერდება და უფრო მწვავდება ფიუმეს კრატერი სულ მოკლე ხანში ცეცხლის ალით იფეთქებს და მისი ცხელი ლავის ნაკადთა შეჩერება უეჭველია აღემატება კორფუს დიპლომატთა უნარ-შეძლებას“.

შეიძლება ითქვას, რომ ლოიდ-ჯორჯის წინასწარმეტყველება გამართლდა.

ფიუმეს კრატერმა უკვე იფეთქა.

მიღებულია ცნობა რომ ფიუმეს „კანონიერი“ მმართველი გადამდგარია ‹ ქალაქში შექმნილია იტალიის სამხედრო ხელისუფლება. გენ. გაეტანო-ჯიარდინოს ხელმძღვანელობით. ეს ფაქტი მოწმობს, რომ სწარმოებს შეტევა იტალიის მხრივ იუგოსლავიის წინააღმდეგ. ამჟამად გამართულია ორივე მთავრობათა შორის მოლაპარაკება, მაგრამ წინასწარვე ცხადია, თუ როგორი იქნება მისი შედეგები და ამის საბუთს განსაკუთრებით ის გარემოება იძლევა, რომ იუგოსლავიის პრემიერ პაშიჩის ცდამ, საფრანგეთ-ინგლისის შუამდგომლობით მუსოლინის „აგრესივობის შენელების“ შესახებ, რასაც ბელგრადში ძალზე ოპტიმისტურად უყურებდნენ, უნაყოფოთ ჩაიარა. ფიუმეს სამხედრო ანექსიით მუსოლინიმ ინგლის-საფრანგეთი „მომხდარი ფაქტის“ წინაშე დააყენა. იტალიის ოფიციალური პრესა თავგამოდებით იცავს მთავრობის მოქმედებას ფიუმეს ირგვლივ. „ჩვენ არა ვართ პროვოკატორები“, სწერს „ჯიორნალე დ'იტალია“, „ჩვენ არ გვსურს ბალკანეთში ცეცხლის დანთება, ჩვენ არ ვცილდებით პირობით გათვალისწინებულ საზღვრებს და არ ჩავდივართ არცერთ იმ დანაშაულებას, რაშიდაც ბრალსა გვდებენ ინგლისის ზოგიერთი გაზეთები. მეორეს მხრივ მდგომარეობა მოითხოვს ჩვენგან ფიუმესათვის ენერგიულ დახმარებას. ეს არის ერთად ერთი სტიმული ჩვენი მოქმედებისა ამ საკითხში, არავითარ გაუგებრობას აქ ადგილი არ ექნება ოფიციალურ წრეებს შეუძლიანთ დამშვიდდენ“. იტალეთის მთავრობის ოფიციალურ ორგანოს ეს „დამამშვიდებელი“ რეცეპტი უაღრესად დამახასიათებელია.

რომმა ძალიან კარგათ იცის, რომ ფიუმეს ქალაქის თავის გადადგომა თანამედროვე პირობებში შეფასებული იქნება როგორც გარკვეული აგრესივობა, რასაც იტალიის სხვა საქმიანობის თანადართვით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შეუძლია გამოიწვიოს შეხლა-შემოხლა.

როგორც ათინიდან იუწყებიან, 8000-ანი მაკედონელთა რაზმი უკვე შეჭრილა სერბიის მიდამოებში; ამავე დროს სერბიის ჯარები თავს იყრიან ნიშში, რომ აქედან გარიბროდის რკინის გზის ხაზით ბულგარეთისაკენ გაემართონ. არის აგრეთვე ცნობები, რომ დამოკიდებულება ბულგარეთისა და იუგოსლავიის შორის ძალზე გამწვავებულია. იუგოსლავიის მთავრობამ ულტიმატუმით მიმართა სოფიას, რომ უკანასკნელმა მიიღოს საჭირო ზომები მაკედონელთა ბანდების თარეშის წინააღმდეგ. ბულგარეთის მთავრობამ თავის მხრივ საპროტესტო ნოტით უპასუხა ბელგრადს საფრანგეთის საგარეო სამინისტროს შუამავლობით. ამავე დროს პარიზელი „ტან“-ი აქვეყნებს შემდეგს: „ამერიკის მთავრობამ ვაშინგტონში მიიღო უტყუარი ცნობები, რომ **ხმელთაშუაზღვის რამოდენიმე ნავთსადგურიდან** იარაღით დატვირთა გემები, რომელნიც შავი ზღვით საიდუმლოთ შეაპარეს ბულგარეთში დღემდის გადაგზავნილია ბულგარეთში 600 ზარბაზანი, 50 მძიმე ბატარეა, 4.000 ტყვიისმფრქვეველი და 20.000 სამხედრო რევოლვერი, თუმცა ნეილის ხელშეკრულებით ბულგარეთის შეიარაღებული ძალა გაცილებით ნაკლები უნდა იყოს. ბულგარეთის ჯარის მთავარ სარდალი ლაგაროვი საიდუმლო კავშირში იმყოფება მაკედონელ ირედენტისტებთან და ახმარს მათ რეგულიარულ ძალას“.

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ იტალიის მთავრობა ბულგარეთ-სერბიის უთანხმოებათა მასაზრდოებელი ძალაა. მაკედონელთა თავდასხმით ფიუმე თავისუფლდება იუგო-სლავიის მზრუნველობისაგან. ასეთი მდგომარეობით იტალია ჰფიქრობს საბოლოოდ განამტკიცოს თავისი ჰეგემონია ადრიატიკის ნაპირებზე. ამ თვალსაზრისით კორფუს კონფლიქტი ფიუმეს საკითხთან მჭიდრო კავშირში იმყოფება.

ინგლისის და საფრანგეთის ზეგავლენით იტალია იძულებული შეიქნა თავის დროზე აღეთქვა კორფუს განთავისუფლება, თუ საბერძნეთი შეასრულებდა წაყენებულ პირობათა ყველა მოთხოვნილებებს. ამრიგათ იტალიას ხელიდან ეცლებოდა ეს კარები ადრიატიკაზე ბატონობისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო მისი რეევაკუაცია, რომ „პროგრამის თანახმად“ დაიწყო ადრიატიკის ნაპირთა. ტრაგედიის მორიგი აქტი, რამაც, უეჭველია, უნდა გამოიწვიოს სამხრეთ ევროპის სერიოზული შერყევა.

ასეთია დღეს მდგომარეობა ევროპის იმ ნაწილშიაც, რომელიც თითქოს უფრო მშვიდად უნდა გრძნობდეს თავს. მთელს ევროპაში კვლავ შეიქმნა პირობები ომისათვის. ახლო მომავალი გრანდიოზულ ცეცხლში დასწვავს იმპერიალისტურ ევროპას და დაამყარებს „წონასწორობას“.

ვ. ქ.

გერმანიის რევოლიუციის პრობლემები

„პრავდა“-ს წერილი

გერმანიის მუშათა კლასი ხელისუფლებისაკენ მიდის. კომუნისტური პარტია გერმანიაში ერთად ერთი პარტიაა, რომელიც წინსვლას ადგია: დანარჩენი პარტიები დაცემის გზას ადგანან და გავლენას კარგავენ. 20 მილიონიანმა გერმანიის პროლეტარიატმა გაიარა რევოლიუციის მოხდენისათვის საჭირო სკოლა და იგი მოახდენს კიდეც რევოლიუციას. ყოველივე ის, რაც ხდება გერმანიის მუშათა კლასის შიგნით,—კომუნისტების გამარჯვება საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებში, მეტალისტთა კავშირის არჩევნები, 1923 წლის აგვისტოს გაფიცვა და სხვა,—იმის მაჩვენებელია, რომ გერმანიის მუშათა კლასმა მოძრაობის ხელმძღვანელობის მანდატი კომუნისტურ პარტიას ჩააბარა.

მე-2 ინტერნაციონალის მშიშარა გმირები საკუთარ ფრთის ქვეშ მალავენ თავს და ცდილობენ მოგვაჩვენონ, რომ ისინი ვერ ამჩნევენ ამ ძირითად ფაქტს, რომელიც წარუშლელ კვალს სტოვებს მსოფლიო პოლიტიკის მთელ გეზზე. მაგრამ ბ.ბ. სოციალ-დემოკრატები არ სხედან გულზე ხელდაკრეფილნი და არ ემორჩილებიან თავის ბედს. მოახლოვებულ რევოლიუციონურ ქარიშხალის წინამგრძნობით საერთაშორისო მენშევიზმი გარკვეულ ზომებს იღებს: იგი თხზავს ლეგენდას გერმანიის კომუნიზმისა და ნაციონალიზმის კავშირის შესახებ. რაც უფრო ახლოა რევოლიუცია, მით უფრო ვერაგულია საერთაშორისო მენშევიზმის პოლიტიკა და 2-ე ინტერნაციონალის ჯოჯოხეთური შეთქმულება გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ. რამოდენიმე თვეა, რაც გერმანიის კომუნიზმსა და ფაშიზმის შორის შეიარაღებული ბრძოლა სწარმოებს. იშვიათია ისეთი დღე, როდესაც მათ შორის არ ხდება შეიარაღებული შეტაკებები ათეულ და ასეულ მსხვერპლით კომუნისტების მხრივ როდესაც გერმანიის კომპარტიამ დანიშნა ანტი ფაშისტური დღე, სოციალ-დემოკრატებმა აკრძალეს ეს გამოსვლა, სოციალ-დემოკრატ ებერტის მარჯვენა ხელია შავრაზმელი სამხედრო მინისტრი ჰესლერი და გენერალი სექტი, რომლებიც სოციალ-დემოკრატიის ბელადებთან ბლოკს შეადგენენ. ფაშისტური გადატრიალება ბავარიაში ხომ სოციალ-დემოკრატიულ ბელადების ნამოქმედარია

მთელი წლის განმავლობაში, სწარმოებს უკვე გერმანიის სოციალ-დემოკრატიის თანამშრომლობა ნაციონალისტურ ბურჟუაზიასთან, მუშათა კლასის წინააღმდეგ. მიუხედავათ ამისა გერმანიის სოციალ-დემოკრატია მაინც გაიძახის კომუნისტების „კავშირზე“ ნაციონალისტებთან. რისთვის? პასუხი—საფრანგეთის სოციალ-შოვინისტების მოქმედებაშია.

საფრანგეთის სოციალისტებმა მეორე ინტერნაციონალიდან იციან, რომ ახლოა და აუცილებელი გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება და გერმანიაში პროლეტარული მთავრობის შექმნა კომუნისტების ხელმძღვანელობის ქვეშ. მათ იციან, რომ საფრანგეთის ბურჟუაზია შეეცდება შეიარაღებული ძალით ჩააქროს გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია. საფრანგეთის სოციალ-დემოკრატები პუანკარეს უყურებენ, როგორც მესიას, როგორც გერმანიის და მთელ ევროპის მომავალ მხსნელს ბოლშევიკურ დიქტატურის საშინელებათაგან. იმისათვის, რომ საშუალება მიეცეს პუანკარეს გადამწყვეტ მომენტში წაიყვანოს ჯარები გერმანიის პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ, რომ მომზადდეს ნიადაგი და შეიქმნეს მორალური პირობები—ქმნიან ლეგენდას კომუნისტებისა და ნაციონალისტების არ არსებულ კავშირის შესახებ.

საფრანგეთის და გერმანიის სოციალ-დემოკრატებმა—2 ინტერნაციონალის ხელმძღვანელებმა... (გამოტოვებულია)... საკმარისია გერმანიის რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ უთხრან საფრანგეთის ჯარისკაცებს: „ეს პროლეტარული რევოლიუცია კი არაა, არამედ ნაციონალისტური მოძრაობაა, მზადებაა ომისათვის რევანშის გადასახდელათ“.

1914 წელს ასეთი მოღალატური როლი ითამაშა „სამშობლოს დაცვის“ ლოზუნგმა. ეხლა როლი უნდა ითამაშოს მოჭორილმა ლეგენდამ კომუნიზმისა და ნაციონალიზმის კავშირის შესახებ. მათ სურთ წინასწარ ჩირქი მოსცხონ პროლეტარულ რევოლიუციას გერმანიაში. ამ მოღალატურ საქმეს საფრანგეთში აკეთებენ რენოდელები, ფროსარები და გრუმბახები.

საფრანგეთის სოციალისტური პრესა ყოველდღე ჩმახავს ჭორებს და ცდილობს მონათლოს გერმანიის პროლეტარიატის მოძრაობა, როგორც ნაციონალიზმის ტალღა. პუანკარე შეიძლება კმაყოფილი არის თავის გმირებით.

მეორე ინტერნაციონალის მიერ შეთხზული ლეგენდა—მზადება გერმანიის პროლეტარული რევოლიუციის ჩახშობისათვის საერთაშორისო იმპერიალიზმის მიერ, არის მორალური გამართლება ახალი მომავალი იმპერიალისტური ომის, რომელიც მიმართული იქნება გერმანიის რევოლიუციის და მის შესაძლებელ მოკავშირეების წინააღმდეგ. გერმანია დამარცხებული ქვეყანაა. ანტანტის იმპერიალიზმის სიმძიმეს განიცდის არა მარტო მუშათა კლასი, არამედ აგრეთვე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ქალაქებსა და სოფლებში. ფაშისტები ცდილობენ გამოიყენონ ეს და დააშორონ ხალხის ყურადღება შინაური ბრძოლის საკითხებს საგარეო საკითხებით და ნაციონალისტური გრძნობების გაღვივებით. გერმანელ კომუნისტების მოვალეობას შეადგენს ბურჟუაზიულ ნაციონალისტების გავლენას ჩამოაშორონ ყველა ღარიბ ხალხთა ფენები. ასე მოიქცა პარიზის კომუნა, რომელმაც თავი მოუყარა ქალაქის და სოფლის წვრილ ბურჟუაზიას პრუსიელების წინააღმდეგ; ასე მოიქცა რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია, რომელმაც თავი მოუყარა გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მცხოვრებლების ყველა იმ ფენებს, რომელნიც მხარს უჭერდენ წითელ არმიას უცხოეთის მჩაგვრელთა მძლავრების გამო. გერმანიის კომუნისტები შეძლებისდაგვარად ასრულებენ ამ ამოცანას. წვრილი ბურჟუაზიის ერთი ნაწილი უკვე განეიტრალებულია. იპყრობენ მეორე ნაწილის სიმპატიებსაც. ამაშია გერმანიის რევოლიუციის საწინდარი.

როგორ მიდის სარევანშო ომის საქმე? ემზადება თუ არა გერმანიის რევოლიუცია ომისათვის? ყველაფერი დამოკიდებულია საფრანგეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ყოფაქცევაზე. თუ პუანკარე თავის ჯარებით გაილაშქრებს გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ, ეს ადრე თუ გვიან გამოიწვევს სამშობლოს დაცვის ომს სოციალისტურ გერმანიაში უცხოეთის ბურჟუაზიის ჩარევის წინააღმდეგ, როცა გერმანიის მუშათა კლასის გარშემო შემოიკრიბებიან ქვეყნის ცოცხალი ძალები უცხო ქვეყნის მჩაგვრელთა მოსაგერიებლად.

რუსეთის კომპარტიის 8 ყრილობაზე ბრესტში წარმოებულ მოლაპარაკების დროს ამხ. ლენინმა ბრესტის ხელშეკრულებას უწოდა სახელად ტილზიტის ხელშეკრულება, და მთელი რუსეთის მუშების და კომუნისტების სახელით განაცხადა: „პროლეტარულ რევოლიუციის საქმეში უცხო ქვეყნის ბურჟუაზიის ჩარევის დროს ერთად ერთი ხსნა არის—მუშათა კლასის გარშემო მთელი ქვეყნის გაერთიანება და სოციალისტური ომის წარმოება სამშობლოს დაცვისათვის. სოციალისტური სამშობლო ჩვენ უნდა დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“.

„რევოლიუცია არის მშვიდობიანობაო“,—ამბობენ გერმანიის კომუნისტები. გერმანიის მუშათა კლასი, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს, მიილტვის მშვიდობიანობისაკენ. როდესაც გერმანიის მუშათა კრებებზე კომუნისტი ორატორები აღნიშნავენ, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდებით მუშათა კლასი იხსნის გერმანიას ახალ ომებისაგანო, უკიდურეს შემთხვევაში იმით, რომ თავს გამოისყიდის იმპერიალისტურ ანტანტისაგან გერმანიის ბურჟუაზიის ხარჯზე—ასეთ განცხადებას მქუხარე ტაშით ხვდებოდენ. აღნიშვნა იმისა, რომ გერმანიის მუშურ-გლეხური მთავრობა საკავშირო ხელშეკრულებას დასდებს ს. ს. რ. კავშირთანო, კიდევ უფრო მეტ ენტუზიაზმს იწვევს. გერმანიის მუშათა კლასი ილტვის მშვიდობიანობისაკენ.

გერმანიისა და საფრანგეთის ბურჟუაზიას ომი უნდა. გერმანიისა და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატია ეხმარება თვითეული თავის ბურჟუაზიას. 2-ე ინტერნაციონალის პარტიები დიდი ხანია უკვე დადგენ კონტრ-რევოლიუციის გზაზე; ისინი აქტიური არიან, როგორც ყველაზე უფრო შეურიგებელი ნაწილი იმპერიალისტურ ბურჟუაზიისა. სოციალ-დემოკრატიის მეთაურები აშკარა „პოგრომჩიკები“ არიან. მაგალითი—ბულგარეთის მენშევიკები. რუსეთის მენშევიკები და ესერები სთხზავენ ლეგენდას კრემლის არ არსებულ წითელ იმპერიალიზმის შესახებ და ამზადებენ ახალ ინტერვენციას ს. ს. რ. კ. წინააღმდეგ. გერმანიის და საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები, სთხზავენ რა ლეგენდას გერმანიის კომუნისტებისა და ნაციონალისტების არ არსებულ კავშირის შესახებ, მხრჩოლავ გაზებს ამზადებენ გერმანიის მუშების წინააღმდეგ.

გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ მზადდება ახალი ღალატი—იმაზე უფრო უარესი, როგორიც იყო 1914 წლის ღალატი. ლეგენდა „სამშობლოს დაცვის“ შესახებ ძვირათ დაუჯდა მუშათა კლასს. მთელი ქვეყნის მუშებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ თავიდან მოიშორონ ყალბი ფულების მჭრელები მეორე ინტერნაციონალიდან, რომელნიც ქმნიან ახალ ლეგენდას; ეს ლეგენდა შეიძლება საბედისწერო გახდეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის“.

საფრანგეთ-გერმანიის პროლეტარიატი საფრანგეთ-გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

(საფრანგეთის კომპარტიის მოზელის რაიონული კონფერენციის რეზოლიუცია და მოწოდება საფრანგეთ-გერმანიის პროლეტარიატისადმი)

თანამედროვე პოლიტიკური მდგომარეობა მოითხოვს საფრანგეთის პროლეტარიატისაგან უდიდეს სიფხიზლეს და ყურადღებას. პუანკარემ, რომელიც ეყრდნობა ვერსალის ხელშეკრულებას და აწარმოებს ძალადობის პოლიტიკას, მიაღწია თავის მიზანს: გერმანიის მთავრობა წავიდა კაპიტულიაციაზე და პუანკარეს გერმანიის მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად ეძლევა ფართე შესაძლებლობა გაყვლიფოს გერმანიის სამრეწველო პროლეტარიატი. პუანკარეს ეს გამარჯვება საფრანგეთის პროლეტარიატისათვის მოასწავებს სრულ გაღატაკებას, რადგან მას, წარმოების სიმძიმის ცენტრის გადანაცვლების გამო, მოყვება საშინელი უმუშევრობა საფრანგეთში. ამ პოლიტიკის გატარების მთელი ხარჯები აწვება საფრანგეთის პროლეტარიატს, რადგან მისი გატარება შეიძლება მხოლოდ დიდი არმიის საშუალებით, რომლის შენახვა დიდ თანხებს მოითხოვს.

პუანკარეს პოლიტიკის ერთ-ერთ საშუალებას შეადგენს სეპერატიული მოძრაობის დახმარება. გერმანიის სეპერატისტების მიზანია რეინლანდიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. პუანკარეს მიერ შექმნილი ტაკი-მასხარების მთავრობა მოსპობს გერმანიის რევოლიუციის უკანასკნელ მონაპოვართ: 8 საათის სამუშაო დღეს და საქარხნო საფაბრიკო კომიტეტებს. ეს ტაკი-მასხარების მთავრობა, რომლისათვისაც სავალდებულო არ არის არავითარი კანონები, გასწმენდს რეინის ოლქს კომპარტიისაგან, რომელიც პროლეტარიატის ინტერესების ერთად-ერთი დამცველია.

ჩვენ რეინზე და რურში მყოფ ამხანაგებს მივმართავთ შემდეგი მოწოდებით:

„ამხანაგებო რეინზე და რურში! 8 თვის წინათ პუანკარემ „საფრანგეთის ლითონის მრეწველთა კომიტეტის“ (კომიტე დე ფორჯ) მოთხოვნით დაიპყრო რური. პუანკარეს პოლიტიკის „გამარჯვებამ“ საშინელი კრიზისი გამოიწვია ევროპის პოლიტიკაში. საფრანგეთის იუნკრების მიერ რურის ოლქის დაკავებამ არა თუ არ გადაჭრა სარეპარაციო საკითხი, არამედ, პირიქით, ამ ოკუპაციამ სრულიად გაანადგურა გერმანიის გადახდის უნარიანობა. გერმანიის პროლეტარიატი უფრო და უფრო ღრმათ ვარდებოდა უფსკრულში. მტაცებლური პოლიტიკა, რომელსაც პუანკარე აწარმოებს რურში, მთელ იარაღს აძლევს ხელში თქვენ კლასობრივ მტრებს. ის ემსახურება მხოლოდ კერძო ინტერესებს, მან მრავალი მსხვერპლი შესწირა საფრანგეთის კაპიტალიზმს. ის არის საერთაშორისო უფლების ფეხქვეშ გათელვა, რადგან არავითარ ხელშეკრულებას არ შეუძლია მიანიჭოს ერთ ერს ასეთი უპირატესობა მეორე ერზე. ეს პოლიტიკა დანაშაულობაა გერმანიის მუშათა კლასის წინაშე. მან გამოიწვია კრიზისი, რომელიც, შესაძლოა, საბედისწერო შეიქმნება ევროპისათვის. პუანკარეს საბოლოო მიზანია გერმანიის დაყოფა და ბუფერელ სახელმწიფოების შექმნა. ეს ბუფერული სახელმწიფოები შეიქმნებიან რეაქციის ციხე-სიმაგრეებათ, საიდანაც რეაქცია იერიშებს მიიტანს რევოლიუციაზე. ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ ამ პოლიტიკის წინააღმდეგ შეკრათ მტკიცე კავშირი საფრანგეთის პროლეტარიატთან და ყოველგვარი ღონისძიება იხმაროთ, რათა გაწვეული იქნან ჯარები დაპყრობილი ოლქებიდან. მუშათა კლასმა უნდა გაუწოდოს ერთმანეთს ხელი თავისი ფეხქვეშ გათელილი უფლებების დასაცავათ. მაგრამ მარტო ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის საკმაო; თქვენ უნდა ებრძოლოთ აგრეთვე ხელოვნურად შექმნილ სეპერატიზმს, რომელიც დაშლით ემუქრება გერმანიას და რომელსაც პროლეტარიატის რიგების კიდევ უფრო მეტად დაქსაქსვა, პროლეტარიატის კიდევ უფრო მეტად გაღატაკება მოყვება. არ აჰყვეთ პუანკარეს მიერ მოსყიდულ პოლიტიკანებს დორტენს და სმიტს. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანია გერმანიის პროლეტარიატის დაქსაქსვა, გერმანიის რევოლიუციის დაღრჩობა და საფრანგეთ-გერმანიის ხელფეხ შეკრულ პროლეტარიატის მიცემა საყვლეფად საერთაშორისო კაპიტალისათვის.

ვეყრდნობით რა ხუთი წლის გამოცდილებას, რომელმაც დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ საფრანგეთის გამოფიტულ და დაღლილ ბურჟუაზიას არ შეუძლია გაატაროს სამრეწველო აღორძინების პოლიტიკა, ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ იმ საფრთხის გამო, რომელიც ემუქრება თქვენს თავისუფლებას, თქვენი წინააღმდეგობით ხელი შეუწყოთ საფრანგეთ-გერმანიის რევოლიუციის შესაძლებლობას და დაიცვათ ის.

არა-ნაკლებ საფრთხეს, ვიდრე საფრანგეთის იმპერიალიზმი, საფრანგეთ-გერმანიის პროლეტარიატისათვის წარმოადგენს საერთაშორისო ფაშიზმი.

მისმა სულის ჩამდგმელმა მუსოლინიმ, იმის შემდეგ, რაც ცეცხლითა და მახვილით გაანადგურა იტალიაში მუშათა რევოლიუციონური ორგანიზაციები, გააჩაღა საგარეო ომი.

სოციალისტები, რომლებიც ვეღარ მალავენ თავის შიშს, დგანან ერთა ლიგის ნანგრევებს შორის. ანტანტისაგან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა. ნგრევის პროცესში მყოფ კაპიტალიზმის მთელი ამ აბნეული პოლიტიკის გამო იქმნებიან სახელმწიფოების ახალი კავშირები, რომლებსაც შეიწირავენ ახლობელი ინტერესები ან და ისინი თავისთავად დაიშლებიან.

ასეთ პირობებში არის ერთად ერთი ხელისუფლება, რომელიც შესძლებს თავის მიზნების განხორციელებას და მთელი ქვეყნისათვის მშვიდობიანობის მიცემას—ეს არის რუსეთის საბჭოთა მთავრობა. არსებობს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა საფრანგეთის გათავხედებული რეაქციის ასალაგმავათ—ეს არის კავშირი მუშების, გლეხობის და საშუალო კლასებისა, რომელთაც სრული დაღუპვა მოელის პუანკარეს პოლიტიკის წყალობით.

ამიტომ პროლეტარიატის უპირველეს მოვალეობას შეადგენს შემოკრებეს მსოფლიო რევოლიუციის აკვანის გარშემო.

გაუმარჯოს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ევროპის მუშურ-გლეხურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ქრონიკა

დავიცვათ სასტიკი ეკონომია

საერთაშორისო მდგომარეობის გართულება მოითხოვს დიდი ენერგიის განვითარებას და ძალთა დაჭიმვას საბჭოთა ქვეყნების ცხოვრების ყოველ დარგში. როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანიზაციებში, როგორც მაღლობ მწვერვალებში, ისე ქვედა ფენებში, წრეებსა და უჯრედებში უნდა შეტანილ იქნას ის შეგნება თუ რა პასუხისმგებლობის წინაშე სდგას მთელი მუშათა კლასი და მისი ავანგარდი, კომპარტია. ესვე მდგომარეობა და ისტორიული პერსპექტივა გვუკარნახებს უდიდესი ეკონომია დავიცვათ სახელმწიფო საშუალებათა დახარჯვაში. მოსკოვის „პრავდის“ 9 ოქტომბრის ნომერში ამის შესახებ ამხ. ე. იაროსლავსკი სწერს:

„შეიძლება ჩვენ გველოდეს რამოდენიმეთ წარმოების ზოგიერთი პირობების გაუარესება. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მცხოვრებთა საჭიროებანი ითხოვენ ჩვენგან ჩვენი ფაბრიკა-და ქარხნების **შრომის ნაყოფიერების გაზრდას“** (ხაზი ავტორისაა).

საჭიროა აცილებულ იქნეს მრეწველობაში რაიმე შეფერხება, რომელიც ხშირად ობიექტიური მიზეზების გარეშე ხდება და გამოწვეულია უყურადღებობით, სახელმწიფოს წინაშე აღებულ ვალდებულებების შეუსრულებლობით.

„ყველაში უნდა განმტკიცდეს რწმენა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მეექვსე წლის არსებობა აძლევს მას ძალას გადაიტანოს ყოველგვარი განსაცდელი. და როგორი სიძნელენიც არ უნდა წარმოშვას საერთაშორისო პირობებმა და ჩვენი მეურნეობის მოთხოვნილებებმა, ჩვენ ამ სიძნელეებს დავსძლევთ, თუ მტკიცე ხელით ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში გავატარებთ სახელმწიფო საშუალებათა დახარჯვაში მეტად სასტიკ ეკონომიის პრინციპს, შევამცირებთ ყოველივე ზედმეტს, არ მივსცემთ არავის უფლებას სახალხო ქონების გაფლანგვისას და **იმავე დროს ყურადღებას მივაქცევთ, რომ არ დაქვეითდეს მუშათა ცხოვრების პირობები და რეალური ხამუშაო ხელფასი“.**

მარკა და ჩერვონეცი

იმ დროს, როდესაც გერმანიის მარკა კატასტროფიულად ეცემა, რუსული ჩერვონეცი თანდათან უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ბირჟებზე უკვე იყიდება ჩერვონეცი და განდევნილია გერმანული მარკა, მაგალითად ბაზელის ბირჟიდან და ნიუ-იორკის უდიდესი ბანკის ოპერაციებიდან, როგორც ამას სწერს ბერგი „პრავდის“ 9 ოქტომბრის ნომერში. გერმანიის პრესაში და საზოგადოებაში აუარებელი პროექტები ითხზება მარკის საქმის გამოსაკეთებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით მდგომარეობა თანდათან უარესდება მიუხედავად ჰილფერდინგის, სტინესის წარმოებათა მთავარი დირექტორის მინის და სხვათა პროექტებისა.

„მაგრამ გერმანიის ბურჟუაზიის უდიდეს ყურადღებას დღეს იპყრობს ჩვენი ჩერვონეცი. ჩვენი ფულის სისტემის აღორძინება შედარებით მოკლე დროში, გეგმაშეწონილება და იმედიანობა, რომელითაც შექმნილი იყო ჩვენი მტკიცე ვალიუტა—ყოველივე ეს მოსწონთ გერმანელებს“.

„რუსულმა ექსპერიმენტმა გაიმარჯვა“ სწერდა ამას წინედ ბურჟუაზიული „ბერლინერ ტაგებლატი“, მაგრამ გაზეთი აფრთხილებს საზოგადოებას რუსულ ღონისძიებათა განმეორებისაგან;

„რადგანაც აღორძინების უნარიანობა რუსეთისა, როგორც აგრარული სახელმწიფოსი, გაცილებით მეტია, ვიდრე სამრეწველო გერმანიისა“.

რასაკვირველია, მიზეზი ამაში კი არ არის, როგორც ბერგი სწერს „პრავდაში“, არამედ იმაში, რომ გერმანიის სათავეში სდგას გახრწნილი და ისტორიის მიერ განწირული ბურჟუაზია და

„რუსეთი კი მიჰყავს სამეურნეო აღორძინებისაკენ მუშათა კლასს, რომელსაც ეკუთვნის მომავალი“.

რას ნიშნავს ეს?

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 14 ოქტ. „პრავდა“ მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„საბჭოთა მთავრობა ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას. მღელვარე განწყობილება ევროპაში იპყრობს საყოველთაო ყურადღებას.

საბჭოთა ხელისუფლება თავისი პოლიტიკით ამტკიცებს მისწრაფებას მშვიდობიანობისაკენ და სურვილს, რომ ევროპის მღელვარება რაც შეიძლება იაფად დაუჯდეს კაცობრიობას. პოლონეთის პოლიტიკის უკანასკნელი ფაქტები, სამწუხაროთ, აძლიერებენ ამ მღელვარებას. პოლონეთის პრემიერმა მიიღო ოფიციალურათ ცნობილი ბანდიტი-გენერალი ბულაკ-ბულახოვიჩი, რომელმაც მადლობა გადაუხადა პრემიერს მისი „არმიის“ საკონცენტრაციო ბანაკებიდან განთავისუფლებისათვის. ჩვენ მაშინვე მიუთითეთ იმ თეთრების ბანდიტური თავდასხმების შესაძლებლობაზე, რომლებიც შეფარებული იყვნენ პოლონეთის არწივის ფრთების ქვეშ. ეს დაამტკიცა გერცენშტეინის მოკვლამ და ბანდიტურმა თავდასხმამ მატარებელზე.

საბჭოთა მთავრობას ამ ამბების გამო არ სურს ისეთი ნაბიჯის გადადგმა, რომელიც გაამწვავებდა მდგომარეობას. მაგრამ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას პოლონეთის მთავრობის მიერ უაღრეს მოთმინების გამოჩენას ბულაკ-ბულახოვიჩის ჯურის სისხლის სამართლის დამნაშავე ელემენტების მიმართ.

სეიდამ განაცხადა, რომ თვალყური უნდა ადევნოს გერმანიის ამბებს და იყოს კონტაქტში საფრანგეთთან. რას ნიშნავს ბულაკ-ბულახოვიჩის „არმიის“ განთავისუფლება?

ნუ თუ საფრანგეთმა ბრძანა ბულახოვიჩის განთავისუფლება საბჭოთა ტერიტორიებზე თავდასხმისათვის?

საბჭოთა მთავრობამ ამ ინციდენტიდან არ უნდა შექმნას დიპლომატიური კონფლიქტი და არ უნდა გაამწვავოს ურთიერთობა პოლონეთის მთავრობასთან. მაგრამ მოვალეობათ მიგვაჩნია მიუთითოთ ბულაკ-ბულახოვიჩის „არმიისადმი“ პოლონეთის მთავრობის ასეთი მოთმინების შედეგებზე. ვიმედოვნებთ, რომ პოლონეთის მთავრობა ალაგმავს იმ ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ ურთიერთობის გამწვავებას ს. ს. რ. კავშირსა და პოლონეთს შორის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას" ცნობები)

სამოქალაქო ომი გერმანიაში

სამოქალაქო ომი დაიწყო: შუა გერმანიაში ქუჩებში მოხდა შეტაკებები მუშებსა და რეიხსვერთა შორის; მოკლული და დაჭრილი დიდძალია.

გალლეში და ბერშტადტში დამშეულთა ბრბო თავს დაესხა საპოლიციო უბნებს; ხელჩართული შეტაკებანი სწარმოებს სხვა რაიონებშიც.

ბრძოლა მუშა-გლეხურ ხელისუფლებისათვის: გერმანიის მთავრობა საქსონიის საზღვრებზე აძლიერებს რეიხსვერებს (ჯარს), რომ მით ხელი შეუშალოს საქსონიის და ტიურინგიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შეერთებას.

სარდლობამ აკრძალა 18 ოქტომბრისათვის დანიშნული ტიურინგიის და გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების გაერთიანებული ყრილობა.

გერმანიის მთავრობის „ღონისძიებანი": გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა დაარსოს ახალი ბანკი, რომელსაც დაევალება გამოუშვას ახალი ფულის ნიშნები.

სამოქალაქო ომი დაიწყო

ბრძოლები ქუჩებში.

ბერლინი. 15 ოქტომბერი: მანჰეიმის (შუა გერმანია) ქუჩებში მოხდა ბრძოლა მუშათა და რეიხსვერის შორის. მოკლული და დაჭრილი მრავალია.

მაინის ფრანკფურტში ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებებს მუშათა დემონსტრაციის და პოლიციის შორის.

მშიერთ სცემენ.

ბერლინი. 15 ოქტომბერი. იუწყებიან სერიოზულ შეტაკებებზე უმუშევართა და პოლიციის შორის ლეიპციგში და მანჰეიმში. ჰალეში და ბერშტადტში მშიერთა ბრბომ საპოლიციო დაწესებულებები დაარბია. კელნში გაფართოებული შეტაკება მოხდა მშიერ ბრბოსა და პოლიციას შორის.

გერმანიის სილეზიაშიც გაფიცვებია

ბერლინი. 15 ოქტომბერი. პოლონეთის სილეზიიდან გაფიცვა მოედო გერმანიის სილეზიასაც, სადაც გაიფიცენ ბორზიგის ქარხნების მუშები.

რა არის უფრო საშიში

ბერლინი 15 ოქტომბერი შუა-გერმანიის ხანაუშირო რაიონის პროფკავშირთა კონფერენციამ გამოიტანა რეზოლუცია, რომელშიაც მოითხოვს მრეწველებთან მოლაპარაკების შეწყვეტას ხელფასის გადიდების შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საგაფიცვო და უმუშევართა მოძრაობის გაძლიერება გაცილებით უფრო საშიშარია გერმანიისათვის, ვიდრე არეულობა სურსათის უქონლობის ნიადაგზე.

ავსტრიის შავი ძალები ემზადებიან ბრძოლისათვის.

ვენა. 15 ოქტ. ბავარიის ამბების გამო, ზალცბურგის ავსტრიის საზღვრების განაპირა ოლქის ხელისუფლებამ დაკეტა საზღვარი ბავარიასთან და თავი მოუყარა საზღვართან ჟანდარმერიას, რომელსაც ეხმარებიან თავდაცვის ჯარები. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ საზღვარი დაკეტილია იმ მიზნით, რომ ხელი შეუშალონ ბავარიის კომუნისტების გადმოსვლას.

ამავე დროს ხდება მონარქისტული „ბრძოლის კავშირის" ზალცბურგის განყოფილების წევრთა მობილიზაცია მთელს ავსტრიაში. ჟანდარმერიამ მიიღო ბრძანება მზად იყოს ბრძოლისათვის.

ამხ. ზინოვიევი გერმანიის ამბების შესახებ

პეტროგრადი. 17 ოქტომბერი. პუტილოვის ქარხნის საარჩევნო კრებაზე გამოვიდა ამხანაგი ზინოვიევი სიტყვით, რომელშიაც შეეხო გერმანიის ამბებს. „დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზია — სთქვა ამხ. ზინოვიევმა, — ემზადება ბრძოლისათვის გერმანიის რევოლუციის წინააღმდეგ. მას სურს დააქუცმაცოს გერმანია რამოდენიმე სახელმწიფოთ. მაშინ ს. ს რ. კავშირი მოემწყვდევა თეთრების გარემოცვაში. თუ ბურჟუაზია შეძლებს გერმანიის რევოლუციის ჩახშობას, ის მაშინვე დაიძვრება ჩვენს წინააღმდეგ. თუ გაიმარჯვა გერმანიის რევოლუციამ, რასაც აქვს მეტი შანსები; ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა გიგანტიური ნაბიჯებით გასწევს წინ. ჩვენ შევდივართ დიდ შესაძლებლობათა ხანაში".

ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისათვის

„სასოფლო მეურნეთა კავშირი" მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მომხრეა.

ბერლინი. 15 ოქტომბერი. სილეზიის წვრილ გლეხობის მიერ 1902 წლის დაარსებულმა სასოფლო მეურნეთა კავშირმა გააფართოვა თავისი წევრთა რაოდენობა 35,000 კაცამდე ჩრდილოეთ და სამხრეთ გერმანიის წვრილ გლეხობის პროვინციალურ კავშირებთან გაერთიანებით. ამრიგათ კავშირი მუშათა და გლეხთა მთავრობის მომხრეა, განსაკუთრებით წარმატებით კავშირი იბრძვის მსხვილი მრეწველთა რეაქციონურ კავშირის წინააღმდეგ ტიურინგიაში, მაკლენბურგში და სილეზიაში.

რამდენიმე ხნის წინეთ კავშირი სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამჟამათ კი სასოფლო მეურნეთა კავშირი მჭიდრო კავშირს აბამს გერმანიის კომპარტიასთან და აყენებს საკითხს მუშურ-გლეხურ მთავრობისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

კავშირის პრეზიდიუმის წევრები კომპარტიაში ჩაეწერენ. კავშირი წარმოადგენს გერმანიის გლეხობის უდიდეს ორგანიზაციას.

პროლეტარულ რაზმების ყრილობა.

დრეზდენი. 15 ოქტომბერი. მიუხედავად სამხედრო სარდლობის აკრძალვისა, გაიმართა პროლეტარულ რაზმების ყრილობა. დაპატიმრებულია არიან ყრილობის მრავალი მონაწილენი.

სცდილობენ წითელი საქსონიის სისხლით ალებას

დრეზდენი. 15 ოქტომბერი. აღმოსავლეთ პრუსიის და სილეზიის რეიხსვერს ნაბრძანები აქვს ხელი შეუშალოს საქსონიაში კარტოფილის შეტანას.

მიზეზი იპოვეს.

დრეზდენი. 15 ოქტომბერი. საქსონიის სამოქალაქო კომისარის დანიშვნა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ამიტომ სამხედრო სარდლობა საქსონიის მთავრობის პროტესტს პროლეტარულ რაზმების დაშლის წინააღმდეგ, დაუსაბუთებლად სთვლის.

წითელი მთავრობის ახალი ღონისძიებანი.

დრეზდენი. 15 ოქტომბერი. საქსონიის მთავრობის წევრმა ბეტხენმა მიტინგზე განაცხადა, რომ მთავრობას განზრახული აქვს გააძლიეროს პროლეტარულ რაზმების და საკონტროლო კომისიების მოქმედება იმ მრეწველების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელნიც ხურავენ წარმოებებს. მუშავდება ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ბურჟუაზიის დაბეგვრას.

სამხედრო სარდლობის რეპრესიები.

დრეზდენი. 15 ოქტომბერი. 18 ოქტომბრისათვის დანიშნული ტიურინგიის და საქსონიის ფაბრიკა-ქარხნების გაერთიანებული ყრილობა აკრძალული იქნა სამხედრო სარდლობის მიერ.

საქსონიის მთავრობის პროტესტი პროლეტარულ რაზმების დაშლის წინააღმდეგ უყურადღებოთ იქნა დატოვებული.

პროტესტი საქსონიასა და ტიურინგიაში რევოლუციის ჩახშობის წინააღმდეგ.

ბერლინი. 15 ოქტომბერი. კვირას კომპარტიამ გამართა ბერლინში 10 კრება. ყველგან გამოტანილი იქნა საპროტესტო რეზოლუციები საქსონიასა და ტიურინგიაში რეაქციის შემოტევის წინააღმდეგ.

გერმანიის ამბების გამოძახილი

გერმანელ კომუნისტის გამოსვლა.

ხარკოვი. 17 ოქტომბერი. უკრაინის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტრესტის ქარხანაში მოხსენება გააკეთა ხარკოვში ჩამოსულმა გერმანიის კომპარტიის წარმომადგენელმა, რომელმაც მოუწოდა რუსეთის პროლეტარიატს გერმანიის მუშების დახმარებისაკენ.

პოლონეთის ამბები

ზემო სილეზიის პოლონეთის ნაწილში გრძელდება საერთო გაფიცვა; პოლონეთის მთავრობის აზრით, გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი აქვს.

ვარშავას ციხის აფეთქების გამო, პოლონეთის მთავრობა სასტიკი ზომებით სდევნის კომუნისტებს; კომპარტიის ზოგიერთი წევრები დაპატიმრებული არიან.

გაზეთები მოითხოვენ მთავრობისაგან განსაკუთრებული უფლებების მინიჭებას, და ინგლის-საფრანგეთისაგან აქტიურ დახმარებას.

სისხლის მღვრელი შეტაკება ზემო-სილეზიაში.

ბერლინი. 16 ოქტომბერი. ვარშავიდან იტყობინებიან, რომ, მიუხედავათ პოლონეთის მთავრობის მიერ მიღებულ სასტიკ ზომებისა, ზემო სილეზიის პოლონეთის ნაწილში გრძელდება საერთო გაფიცვა; პოლონეთის მთავრობის აზრით, გაფიცვას პოლიტიკური ხასიათი აქვს. პარასკევს ოლქში სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა გაფიცულ მუშებსა და მთავრობის ჯარებს შორის, რომელნიც გამოწვეულნი იყვნენ დასახმარებლათ ადგილობრივ პოლიციის მიერ.

ვარშავაში მომხდარ აფეთქების მიზეზი.

ბნელი საქმეების დაფარვა.

ვარშავა 15 ოქტ. ქალაქში დადის ხმები, რომ აფეთქების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ აფეთქების ადგილას იმყოფება სამხედრო ტანთსაცმლის საწყობი, სადაც მოელოდნენ რევიზიას ქონების გაფლანგვის გამო.

აფეთქებას მიაწერენ.

ვარშავა. 15 ოქტომბერი მოამზადა რა ნიადაგი პროვოკაციული მოწოდებით, თითქოს აფეთქება მომხდარიყოს „საიდუმლო ბოროტ-მოქმედთა ხელების მიერ" შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერნინმა, რომელმაც მიიღო განუსაზღვრელი უფლებები, კვირას დააპატიმრა 140 კაცი, რომელნიც შემჩნეულნი იყვნენ კომუნისტურ მოძრაობისადმი თანაგრძნობაში. „რაბოტნიკის" ცნობით, დაპატიმრება მოხდა მეფის „ოხრანკის" სიების მიხედვით.

დაპატიმრებული არიან: პუბლიცისტი — გემბელი, „ქალაქის და სოფლის პროლეტარიატის კავშირის" მდივანი — დიუტლინგერი, ქალი — დურაჩი და სხვ. დახურულია ტყავეულობის, თამბაქოს, ქიმიურ და ქაღალდის მრეწველობის პროფკავშირთა, მელითონეთა და სააღმშენებლო მუშათა კავშირის, ფეიქარ-ებრაელების კავშირის და სხვ ბინები. კრაკოვში ამავე დროს დაპატიმრებულია 50 კაცი, როგორც ჩანს, ცენტრიდან მიღებულ საერთო გეგმით.

„წესრიგის დაცვისათვის"

ვარშავა. 15 ოქტომბერი. მთავრობის გაზეთი „გაზეტა ვარშავსკა" მოითხოვს მთავრობისათვის განუსაზღვრელ უფლებებს წესრიგის დასაცავად

ის ზღუდე გადალახული იქნება.

ვარშავა. 15 ოქტომბერი. ციხეში მომხდარ აფეთქების გამო „რეჩ პოსპოლიტა" სწერს: „ფარული მტერი ძირს უთხრის პოლონეთის სამხედრო ძლიერებას სწორეთ იმ დროს, როდესაც კომინტერნი ემზადება ხელი გაუწოდოს ბერლინელ ამხანაგებს, მაგრამ გზაში ელობება მას ზღუდე პოლონეთის სახით. გაზეთი მოუწოდებს ინგლისს და საფრანგეთს დახმარება გაუწიონ პოლონეთს, რომელიც მთელ თავის ფინანსიურ ძალ ღონეს ახმარს ბრძოლას ევროპის დასაცავად ბოლშევიზმისაგან.

პოლონეთის სოციალიზმი პოლიციელების მფარველობის ქვეშ.

ვარშავა 15 ოქტომბერი. კატოვიცაში პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მიერ მოწვეულ მიტინგებზე მუშებმა ობსტრუქცია მოახდინეს სოციალისტებმა დაამთავრეს სიტყვები პოლიციის დახმარებით.

თეთრ-გვარდიელთა კავშირმა გაიწვია თავისი წევრები მუშების წინააღმდეგ საბრძოლველად.

„რეჩ პოსპოლიტა" მოითხოვს სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას სილეზიაში.

გაფიცვა ფართოვდება.

ვარშავა. 15 ოქტომბერი. ზემო სილეზიაში მომხდარ ამბების გამო, სილეზიის „ვოევოდას" მაგივრათ დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი განსაკუთრებული უფლებებით. მოძრაობის ინიციატივა გადავიდა კომუნისტების ხელში. მუშები გამოდიან პოლონეთის სოციალისტურ და სახალხო მუშათა პარტიის გავლენიდან. მუშები ცოლშვილით გადადიან კატოვიცში, რომელიც მუშათა ბანაკათ გადაიქცა. გაფიცვა ფართოვდება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საფრანგეთის ფინანსიურ წრეებში ძლიერდება ინტერესი საბჭოთა კავშირისათვის. ზოგიერთ ბანკებს ცალკე ფინანსისტებთან ერთად გადაწყვეტილი აქვთ რუსეთ საფრანგეთის ბანკის გახსნა.

საფრანგეთში დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მეფის ვალის საკითხის გამორკვევა.

რუსეთ-ავსტრიის სავაჭრო საზოგადოება შეუდგა რუსეთიდგან პურის წაღებას ავსტრიისათვის

საფრანგეთ-რუსეთის ბანკის დაარსების პროექტი.

პარიზი. 14 ოქტომბერი. საფრანგეთის ფინანსიურ წრეებში ძლიერდება ინტერესი ს. ს. რ. კავშირისადმი. ხმების მიხედვით, ზოგიერთ ბანკებს ცალკე ფინანსისტებთან ერთად განზრახული აქვთ გაერთიანდენ და შექმნან საფრანგეთ რუსეთის ბანკი, რომელსაც განყოფილება ექნება რუსეთში. ს. ს. რ. კავშირს მიეცემა აქციების დიდი ნაწილი.

იტყობინებიან, რომ, თითქოს, ს. ს რ. კავშირს აწოდებენ კრედიტებს მისი რკინის-გზების ქსელის გასაფართოებლათ: „ეკო ცელსიორ"-მა გამოაქვეყნა საუბარი საბჭოთა დელეგაციის წევრებთან რკინისგზელთა საერთაშორისო ყრილობაზე; უკანასკნელებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა რუსეთში აღდგენილია მთელი რკინისგზის ქსელი და საბჭოთა რუსეთს შეუძლია კვლავ უზრუნველჰყოს ნორმალური ტრანზიტი ევროპასა და აზიას შორის.

რუსეთის მეფის მთავრობის ვალების შესახებ.

პარიზი. 14 ოქტომბერი დაარსდა სალიკვიდაციო კომისია, რომელიც სისწორით გამოარკვევს მეფის მთავრობის დავალიანებას საფრანგეთისადმი.

კომისიას ევალება ან სავსებით ლიკვიდაცია უყოს, ან დატოვოს საფრანგეთის მთავრობის ხელში მთელი ის ქონება, რომელიც ეკუთვნის მეფის მთავრობას, მიუხედავათ ქონების წარმოშობისა, ლიკვიდაცია უქნეს ყველა კონტრაქტებს და ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულია მეფის მთავრობის წარმომადგენლების მიერ და უზრუნველყოფილია საფრანგეთის სახელმწიფო ბანკის ავანსებით და საფრანგეთის ხაზინის ბონებით.

კომისიასთან დაარსებულია სპეციალური სექცია, რომელმაც უნდა მოაგვაროს იმ ხელშეკრულებათა ლიკვიდაციის საკითხი, რომლებიც დადებული არიან ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

რუსეთ-ავსტრიის სავაჭრო საზოგადოება.

მოსკოვი. 16 ოქტომბერი. რუსეთ-ავსტრიის შერეული სავაჭრო საზოგადოება ტვირთავს ორ გემს პურით ავსტრიაში გასაგზავნათ. საზოგადოების მიზანია ნედლი მასალის შემოზიდვა ავსტრიიდან რუსეთში.

ბულგარეთი აჯანყების შემდეგ

მუშათა დახმარების საერთაშორისო ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გადასდოს ბულგარეთის ლტოლვილთა სასარგებლოდ 10,000 დოლარი.

მუშათა საერთაშორისო დახმარების ცენტრალურმა კომიტეტმა ყველა ქვეყნის მუშებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს ბულგარეთის ფაშისტური მთავრობის სიმხეცეს.

საჭიროა სასწრაფო დახმარების აღმოჩენა ბულგარეთის ლტოლვილებისათვის.

მოსკოვი. 17 ოქტომბერი. მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა კოლაროვისაგან მიღებული რადიო, რომელშიაც ის სასწრაფო დახმარებას მოითხოვს ბულგარეთის ლტოლვილებისათვის, რომელნიც თავმოყრილნი არიან სამხრეთ-სლავიისა, რუმინეთისა და ოსმალეთის საზღვრებზე. **მუშათა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გადასდოს ბულგარეთის ლტოლვილთა სასარგებლოთ 10,000 დოლარი.**

მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის მოწოდება.

მოსკოვი. 17 ოქტ. მუშათა საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციის ცეკამ მოწოდებით მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს, რომელშიაც **მოუხმობს მათ დახმარება გაუწიონ ბულგარეთის ლტოლვილებს. მოწოდება მოუხმობს მუშებს აიმაღლონ ხმა ბულგარეთის ფაშისტების მხეცობის წინააღმდეგ და შეუდგენ შემოწირულებათა შეგროვებას ბულგარეთის ლტოლვილთა სასარგებლოთ.**

სწავლობენ რეაქციის სამეფოში.

რომი. 15 ოქტ. რომში ჩასული ბულგარეთის მინისტრი კალფოვი მიღებულ იქნა მუსოლინის მიერ.

გლეხთა საერთაშორისო კონფერენცია

საღამოს სხდომა

გლეხობის ინტერნაციონალის შესახებ

მოსკოვი. 14 ოქტ. საერთაშორისო გლეხთა კონფერენციის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ბიტელის მოხსენების გამო. ინდო-ჩინეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ გლეხთა ინტერნაციონალი არ იქნება მტკიცე მანამ, სანამ გაბატონებულ ერის გლეხობასთან არ იქნება გათანასწორებული კოლონიების გლეხობა.

წითელი დროშა სემიონოვის ფაბრიკიდან

კონფერენციამ მოისმინა მოსკოვის მუშათა დელეგაციის მისალმება, რომელმაც გადასცა კონფერენციას წითელი დროშა სემიონოვის ფაბრიკის სახელით. ფიშოფმა გერმანიის დელეგაციის სახელით გამოსთქვა რწმენა იმაში, რომ გერმანიის გლეხობა მუშებთან ერთად მახლობელ კვირაში განახორციელებს რუსეთის მშრომელთა მიერ 1917 წ. ოქტომბერში მოპოვებულ თავისუფლებას.

კონფერენცია არის I წითელი გლეხთა ინტერნაციონალის საძირკველი

ამხ. ზინოვიევის სიტყვა.

კონფერენცია ენტუზიაზმით ხვდება ამხ. ზინოვიევის გამოსვლას, რომელმაც გააშუქა კონფერენციის მნიშვნელობა 1 წითელი გლეხთა ინტერნაციონალის შექმნის საქმეში.

ამხ. ზინოვიევი იუწყება, რომ ამხ. ლენინის ჯანმრთელობა გამოკეთდა და ის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს კონფერენციისადმი. დომბალის წინადადებით, კონფერენცია უგზავნის მისასალმებელ დეპეშას ამხ. ლენინს, რომელმაც პირველად აღიარა მუშათა და გლეხთა კავშირის აუცილებლობა და გლეხობას უჩვენა გზა განთავისუფლებისათვის.

რევოლუციის მებრძოლთა დასახმარებლად

კაპიტალის შემოტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ გრძელდება. ფაშისტები დღითი-დღე ძლიერდებიან და ირაზმებიან ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ, რათა ამით საბოლოოთ ჩააქრონ ყველა ქვეყნების მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა.

ციხეები აღვსილი არიან მშრომელთა მასების განთავისუფლებისათვის მებრძოლებით. მათი რიცხვი დღითი-დღე იზრდება. 150,000 კაცზე მეტი იტანჯება კაპიტალისტურ ციხეების ბნელ საკანებში.

გერმანიის პროლეტარიატი უსაშინელეს პირობებში იწყებს აჯანყებას კაპიტალის წინააღმდეგ. ამ მრისხანე დღეებში, როცა მებრძოლ მსოფლიო პროლეტარიატისათვის დახმარება ყველაზე უფრო საჭიროა, მთელი სიგრძე-სიგანით ისმება საკითხი რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების აუცილებლობის შესახებ.

კომინტერნის 4-ე კონგრესის დადგენილებით დაარსებულ იქნა რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია. (რ. მ. დ. ს. ო.) რევ. მებრძ. დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის ცეკას წესდების და მისი დირექტივების თანახმად, რ. მ. დ. ს. ორგანიზაცია თავის მთავარ ამოცანად ისახავს რევოლიუციის მებრძოლების, ყველა ქვეყნების კლასთა ბრძოლის მსხვერპლთათვის მატერიალურ და მორალურ დახმარების გაწევას. ეს უდიდესი ამოცანა შეიძლება გადასწყდეს დამაკმაყოფილებლად მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მშრომელები გაერთიანდებიან დახმარების ერთ კოლექტიურ აღტყინებაში და გამოიჩენენ სოლიდარობას მებრძოლ მუშათა კლასისადმი.

რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციამ არა მარტო რესპუბლიკების კავშირში, არამედ მის გარეშეც ფართოდ დააყენა თავისი მუშაობა. ჩვენში [illegible] მხრივ დღემდე [illegible] ლიან ცოტაა გაკეთებული, თუ მივიღებთ მხედველობაში „რ. მ. ს. ორგანიზაციის" ლიტერატურის, [illegible] ტონების გავრცელებას და აგრეთვე 1000 ჩერვონეცის შეკრებას, ამ მუშაობას ჩვენში ჰქონდა სრულიად შემთხვევითი ხასიათი. იმისათვის, რათა რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საქმეს მიეცეს სისტემატიური ხასიათი და ეს საქმე იქნეს დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, ცეკა წინადადებას იძლევა:

1) გამოყოფილ იქნას პასუხისმგებელი და ავტორიტეტული მუშა რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის რწმუნებულის სახით მაზრებში.

2) დაუყოვნებლივ იქნას მოწყობილი რ. მ. დახმ. საერთაშორისო ორგანიზაციის განყოფილებანი ადგილებზე, როგორც მაზრებში, ისე რაიონებში. ქარხნებსა, წარმოებებში და აგრეთვე გლეხთა შორის მოეწყოს რ. მ. დ. საერთ. ორგანიზაციის იაჩეიკები, თავისუფალი სურვილის საფუძველზე, მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ ინიციატივაზე დამყარებით.

თქვენ მიერ გამოყოფილ რწმუნებულს წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ დაიჭიროს კავშირი რ. მ. დ. ს. ორგანიზაციის რწმუნებულთან საქართველოში, რომელიც გამოყოფილია საქ. კომპარტიის ცეკას მიერ.

ამასთანავე გიგზავნებათ რ. დ. ორგანიზაციის წესდება. ყოველ ცალკე შემთხვევაში, როცა საჭირო იქნება წესდების ამა თუ იმ მუხლის ან პარაგრაფის შეცვლა და საჭირო ცნობების მიღება, გევალებათ შეეკითხოთ ორგანიზაციის რწმუნებულს საქართველოში.

საქ. კომპარტიის ცეკას მდივანი **კახიანი**.

რ. მ. დ. საერთაშორისო ორგანიზაციის რწმუნებული საქართველოში **ა. კვარიკაძე**.

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი ნაწარმოებების გამოფენა

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი ნაწარმოების გამოფენა გაიხსნება სასახლეში 7 ნოემბერს, ოქტომბრის ზეიმის გახსნის დღეს ამავე დღეს გაიხსნება აგრეთვე საკავშირო ცაკის სესია. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა გამოჰყო საგანგებო სამეული გამოფენის მოსაწყობათ, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. ვირაპი, თუმანიანი, რასულ ზადე. მთელს მუშაობას ხელმძღვანელობს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი. პროვინციებში გაგზავნილი არიან ამხანაგები მასალების მოსაგროვებლათ. მუშაობა ადგილებზე დავალებული აქვს ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას. პროვინციებიდან უკვე შემოდის მასალები, როგორც ბეჭდვითი, ისე დიაგრამების სახით.

სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს მთელ რიგ დიაგრამებს, რომლებიც იძლევიან საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობის ილიუსტრაციას. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას განზრახული აქვს მოაწყოს თავისი კიოსკი საქართველოს პავილიონში.

სახელმწიფო გამომცემლობის გამგე ამხ. ხუმაძე გაემგზავრა ქუთაისში და ბათომში გამოფენისათვის მასალების მოსაგროვებლათ.

მიღებულია ცნობები, რომ აზერბეიჯანის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება ეწევა ენერგიულ მუშაობას გამოფენაზე აზერბეიჯანის განყოფილების მოსაწყობათ. ყველა ექსპონატები პავილიონთან ერთად აზერბეიჯანიდან ჩამოტანილი იქნება ტფილისში. აზერბეიჯანის ცეკას საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება ეწევა ენერგიულ კამპანიას ადგილობრივ გამომცემთა შორის.

სომხეთიდან მიღებულია ცნობები, რომ სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობა ემზადება ენერგიულათ გამოფენაზე მონაწილეობის მიღებისათვის; მას ექნება საკუთარი კიოსკი სომხეთის პავილიონში

გამოფენაზე მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს ფოტოგრაფებმა; ისინი გამოფენენ იმ მასალებს, რომელთაც კავშირი აქვს ბეჭდვით საქმესთან. გამოფენაზე მონაწილეობას მიიღებენ ყველა რესპუბლიკის რევოლიუციის მუზეუმები. მონაწილეობის სურვილი განაცხადა აგრეთვე ქაღალდის ტრესტმა და პოლიგრაფიულმა განყოფილებამ.

გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობს აგრეთვე რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა (საოლქო განყოფილება) ის გამოვა ამიერ-კავკასიის საოლქო ორგანიზაციებთან ერთად. (საოლქო ორგანიზაციებში შედიან: რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, კავკასიის წითელ დროშოვანი არმია, რუსეთის ახალგაზრდობის კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობის კავკასიის განყოფილება) საოლქო განყოფილება გამოფენაზე გამოიტანს მხოლოდ წიგნებს ოქტომბრის დღესასწაულისათვის და ამას გარდა ტექნიკური მიღწევების დემონსტრაციას წიგნების გამოცემის საქმეში.

ყველა ცნობების მიღება გამოფენის გახსნის შესახებ შეიძლება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტში ამხ. თუმანიანთან ყოველდღე დღის 11-დან—12 საათამდე. **ს.**

ოქტომბრის რევოლუციის მე-6 წლის თავზე

(თეზისები აგიტატორებისათვის)

1. ექვსმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც რუსეთის პროლეტარიატმა ჩამოაგდო თავის ქვეყანაში ბურჟუაზიისა და მემამულეთა ბატონობა. ოქტომბრის რევოლიუცია თავგამოდებული შეტევა იყო საერთაშორისო კაპიტალზე.

რუსეთის ძლევამოსილმა მუშათა და გლეხთა მასებმა გაარღვიეს კაპიტალისტური ფრონტი და გაკაფეს გზა ჩაგრულ კაცობრიობის შემდეგი განთავისუფლებისათვის. საბოლოო გამარჯვებისათვის პროლეტარიატმა უნდა მოსპოს კაპიტალის დიქტატურა ყველა დანარჩენ ქვეყნებში გერმანიაში, ავსტრიაში, ჰუნგრეთში და ფინეთში მუშათა კლასის მიერ მოხდენილმა პირველმა ცდამ კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის უნაყოფოთ ჩაიარა. უცხოეთისა და ადგილობრივ ბურჟუაზიის კოალიციამ მუშათა კლასის მოღალატეების,—ნაციონალისტურ, სოციალ-დემოკრატიულ და სხვა წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების აქტიური დახმარებით დაახრჩო აღნიშნულ ქვეყნებში პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა.

2. კაპიტალისტები არა ერთხელ შეეცადნენ მსოფლიო რევოლიუციის ციხე სიმაგრის — რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის განადგურებას შეიარაღებულ თავდასხმის საშუალებით მაგრამ კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს ამ მტაცებლურ ზრახვათა სისრულეში მოყვანა კაპიტალისტურ მსოფლიოს შინაგან წინააღმდეგობათა, ეკონომიურ რღვევის, კლასობრივ ბრძოლის გაძლიერებისა და აღმოსავლეთის მშრომელთა გამოფხიზლების გამო. მსოფლიო ომი, რომელმაც დაარღვია პოლიტიკური წონასწორობა და ევროპის ყველა სახელმწიფოთა ეკონომიური ცხოვრება, დაგვირგვინდა ვერსალის და სევრის ხელშეკრულებებით, რომლებმაც არა თუ არ გააქარწყლეს არსებული წინააღმდეგობანი, არამედ, პირიქით, გააძლიერეს [illegible] და ნადავლის განაწილების გამო მოკავშირეთა ბანაკში ახალი წინააღმდეგობები დაბადეს.

3. კაპიტალისტური ევროპა მსოფლიო ომმა პოლიტიკურ და ეკონომიურ კრიზისში ჩააგდო. დამარცხებულთა უბედურებაზე გამარჯვებულთა ბედნიერების აშენების ოცნება განუხორციელებელი აღმოჩნდა, რადგან დამარცხებული ქვეყნები იმდენათ გაღატაკდენ და იმ ზომამდე დაკარგეს გადახდის უნარი, რომ მათგან აღარ შეიძლებოდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეურნეობის აღდგენის საშუალებათა მიღება. დადგა რა ეკონომიურ დაღუპვის უფსკრულის წინაშე, ბურჟუაზიამ გადასწყვიტა თავისი მდგომარეობის გადარჩენა საერთაშორისო მუშათა კლასის ანგარიშზე. დაიწყო პროლეტარიატის ულმობელი ექსპლოატაცია სამუშაო დღის გადიდებისა და ხელფასის შემცირების სახით. ომის საჭიროებისათვის მომუშავე ქარხნების დახურვის გამო, მრავალ წარმოებათა შემცირების, ნედლი მასალისა და ბაზრების უქონლობის გამო, მრავალი მილიონი კვალიფიცირებული მუშა გამოყრილი იყო ქუჩაზე სრულიად უსახსროთ. ეკონომიურ რღვევის მთელი სიმძიმე მუშათა კლასის მხრებს დააწვა. ყოველივე ამან გამოიწვია კლასობრივი ბრძოლა და შექმნა საჭიროება საერთაშორისო პროლეტარიატის ყველა ძალთა გაერთიანებისა და მთლიანი ფრონტის შექმნისა კაპიტალისტურ უღლის ჩამოსაგდებათ.

4. წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების გავლენამ მუშათა კლასზე სისტემატიურათ იკლო, პროლეტარიატის იმ ნაწილმა, რომელიც მოღალატე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მისდევდა, დაიწყო თავის შეცდომების შეგნება და რევოლიუციონურ პოზიციებზე გადასვლა. რაც დრო მიდიოდა, მით უფრო რეალური ხდება მუშათა გაერთიანება პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგის ქვეშ.

ყველა ქვეყნის კომუნისტურმა პარტიებმა დაიწყეს ზრდა-განვითარება და თავისი გავლენის გავრცელება პროლეტარიატის ფართე მასებზე. პროფესიონალური ორგანიზაციები რევოლიუციონურ ბრძოლის გზაზე დგებიან და სულ უფრო მჭიდროთ აერთიანებენ მუშათა კლასის დაქსაქსულ რიგებს.

5. ოქტომბრის რევოლიუციის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ტალღა მოედო აღმოსავლეთის მრავალ ქვეყანას, რომლებიც იმპერიალისტთა ულმობელ ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენენ, გაღვიძებულ აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა სიძულვილი ოკუპანტებისა და მათი აგენტებისადმი დღითი დღე იზრდება. აღმოსავლეთის ქვეყნებში არაჩვეულებრივათ იზრდება სიმპატია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ; ეგვიპტეს, ოსმალეთის, სპარსეთის, ინდოეთის, არაბეთის, ავღანისტანის, ჩინეთის და სხვა ქვეყნის რევოლიუციონური მასები სულ უფრო მჭიდროთ ერთდებიან ყველა ჩაგრულ ხალხთა, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა, უფლება-ინტერესების ერთად ერთ დამცველ კომინტერნის გარშემო. ამგვარათ მტკიცდება ჩაგრულ აღმოსავლეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის კავშირი, რაც მთელი მსოფლიოს მშრომელთა მომავალ გამარჯვების საწინდარია.

6. ჩვენ მოწმე ვართ, ერთის მხრივ, კაპიტალისტურ მსოფლიოს რღვევის და, მეორე მხრივ, პროლეტარულ სახელმწიფოს გამაგრების განუწყვეტელ პროცესისა. თავისი დიქტატურის პირველ წლებში საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებმა მოსპეს ბურჟუაზიის და მემამულეთა ეკონომიური ძალა-უფლება, წაართვეს მათ ნივთიერი სიმდიდრე. გაბედული ზომებით დაცულ იქნა ოქტომბრის მონაპოვარნი. ბურჟუაზიის წინააღმდეგობის ლიკვიდაციისათვის და ქვეყნის დასაცავათ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა ხალხმა შექმნა ძლავრი წითელი არმია. იმპერიალისტებთან და შინაგან კონტრ რევოლიუციასთან ბრძოლის მძიმე პირობებში წითელმა არმიამ არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა და შინაგან კონტრ-რევოლიუციას და კაპიტალისტურ სახელმწიფოების ინტერვენციას ბოლო მოუღო. დაამარცხა რა კონტრრევოლიუცია ცენტრალურ რუსეთში, წითელი არმია გაეშურა მინაპირე ერებისაკენ ექსპლოატაციის უღლიდან მათი განთავისუფლების მიზნით.

7. სამოქალაქო ომის ფრონტების ლიკვიდაციის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა დარღვეულ მეურნეობის აღდგენას და ორგანიზაციას. ეკონომიურ აღმშენებლობის ფრონტზე მას შეხვდა არაჩვეულებრივი დაბრკოლებები. დაშლილი ტრანსპორტი, სათბობი მასალის სიმცირე, აუცილებელ ნივთიერ რესურსების უქონლობა და უცხოეთის ბლოკადა მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომლებისაგან მათი ძალთა მაქსიმალურ დაჭიმვას. სასოფლო მეურნეობა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიკის ფუძეს წარმოადგენს, იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომის შემდეგ კატასტროფიულათ დაეცა.

8. შეუდგა რა სამეურნეო აღმშენებლობას, საბჭოთა ხელისუფლებას პირველ ყოვლისა უნდა გაეძლიერებინა სასოფლო მეურნეობა. საჭირო გახდა ე. წ. „პროდრაზვიორსტკის" უარყოფა, რომელიც აუცილებელი იყო სამკვდრო-სასიცოცხლო სამოქალაქო ომის დროს, და მის მაგიერ სასურსათო გადასახადის შემოღება და დამშეულ სოფლისათვის ფაბრიკატების მიწოდება.

კერძო სამრეწველო და წვრილი მეურნეობის ინიციატივის გარეშე დაშლილ სახელმწიფო მრეწველობას არ შეეძლო გლეხობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამ მიზნით თავისუფალ ვაჭრობის აღორძინება აუცილებელი ნაბიჯი იყო. გადავიდა რა სახელმწიფო მრეწველობის ორგანიზაციაზე, რომლის გარეშე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიურ გავლენისაგან განთავისუფლება შეუძლებელია, საბჭოთა სახელმწიფო ვერ დაკმაყოფილდება მარტოოდენ შინაგანი რესურსებით. აუცილებლათ საჭირო იყო სამრეწველო ქვეყნებთან კავშირის გაბმა სესხის მიღებისა და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციაზე კონცესიების გაცემის მიზნით.

9. სამეურნეო აღორძინების და მუშებისა და გლეხობის შორის მჭიდრო კავშირის შექმნის ამოცანებმა ახალი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვეს. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამოცხადებიდან დაიწყო კერძო კაპიტალის და წვრილი საგლეხო მეურნეობის მოქმედება. საბჭოთა ეკონომიკაში საჭირო გახდა სახელმწიფო კაპიტალის და კერძო კაპიტალის ურთიერთ შეთანხმება. კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა განიზრახეს კერძო კაპიტალისათვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენით ეკონომიური უპირატესობა მიენიჭებინათ მისთვის სახელმწიფო კაპიტალის წინაშე. მაგრამ, საბჭოთა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალით განადგურების ოცნების დაგვარად პროლეტარულ სახელ. დამონავების ცდა მშვიდობიან ეკონომიურ საშუალებებით ფუჭი გამოდგა. საბჭოთა სახელმწიფომ აქაც გაიმარჯვა ყველა მტრულ ეკონომიურ ძალებზე.

10. საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალის სისტემატიურმა ზრდამ აიძულა იმპერიალისტები კავშირი გაებათ და სეპარატიული სავაჭრო და სხვადასხვა ხელშეკრულებები დაედოთ მასთან. გენუას, ჰააგას, ლოზანას კონფერენციების მთელმა სერიამ, რომლებიც გამართული იყო საბჭოთა რესპუბლიკების დიპლომატიური გზით დაპყრობის მიზნით, არ გაამართლა კაპიტალისტების იმედები. პირიქით, ამ კონფერენციებმა გააძლიერეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების გავლენა და ავტორიტეტი დასავლეთ ევროპის მუშათა ფართე მასებში.

11. საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცებას დიდათ შეუწყო ხელი მათი მძლავრი კავშირის შექმნამ ნებაყოფლობისა და თანასწორობის საფუძველზე და აგრეთვე ეროვნულ საკითხის გადაწყვეტისათვის სწორმა მიდგომამ. საბჭოთა რესპუბლიკების ერებმა მიიღეს თავისი ცხოვრების აშენების სრული რეალური შესაძლებლობა. სწორი ეროვნული პოლიტიკის და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის შექმნის შედეგები მეტად თვალსაჩინოა ამიერ კავკასიისათვის, რომელიც განსხვავდება ეროვნებათა მრავალსახეობით და მისი პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობის თავისებურობით. ეკონომიურ ღონისძიებათა გაერთიანებამ, ერთსულოვნებამ ყველა პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი გადააქცია რკინის ზღუდეთ, რომელზედაც იმსხვრეოდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მტრული გეგმები და განზრახვები.

12 1920 წ. 28 აპრილს აზერბეიჯანში, ამავე წლის 2 დეკემბერს სომხეთში და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გამოცხადებული იქნა საბჭოთა ხელისუფლება. ამ დროიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მშრომელებმა დაუკავშირეს თავისი ბედი ოქტომბრის რევოლიუციას. დასრულდა მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების სამარცხვინო ღალატის ხანა. მსოფლიო კაპიტალის წადილი — ამ ლაქიების დახმარებით ამიერ-კავკასია გადაექცია თავის კოლონიად — ტკბილი ოცნება აღმოჩნდა და ამიერ-კავკასიის სიმდიდრენი გადავიდა მშრომელთა სრულ განკარგულებაში. დასრულდენ დღეები იმპერიალისტების წინაშე კოშმარულ თავის დამცირების და ნაციონალისტური ვაკხანალიის.

13. მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების ბატონობის სამი წლის განმავლობაში დაიღვარა ბევრი სისხლი ეროვნებათა შორისო ბრძოლაში; ომი საქართველოს და სომხეთს შორის, სომეხ თათართა ხოცვა-ჟლეტა აზერბეიჯანში, დაუსრულებელი სისხლისღვრა ყარაბახში, ზანგეზურში, ნახიჩევანში, დანგრეული სამხრეთ-ოსეთი, ახალციხის მუსლიმანების ძარცვა, აჭარაზე გალაშქრება, აჯანყებულ გლეხების ხოცვა-ჟლეტა აფხაზეთში, დუშეთის და ლეჩხუმის მაზრებში, სამეგრელოში და სხვა ადგილებში, დანგრეული სოფლები და ქალაქები, ათეული ათასი დახოცილ-დასახიჩრებულები — აი მენშევიკურ, დაშნაკურ და მუსავატისტურ ხელისუფლების ბატონობის შედეგები.

14. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში მშრომელებმა ხე მიჰყვეს მშვიდობიან შრომას იმათ ამ ხნის განმავლობაში არც თი სისხლის წვეთი არ დაუღვრი შინაურ ომებში. მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების ბატონობის სისხლიან დროს წყევლ კრულვით იგონებენ ამიერ-კავკასი მშრომელები. შევიდენ რა საერ მუშათა ოჯახში, ამიერ-კავკასი მშრომელები საერთაშორისო თვა საზრისით არარაობის ნაცვლად დენ თვალსაჩინო სახელმწიფო ორგანიზმად. მონური მდგომარ წარსულში ოსმალეთის გერმანიის ანტანტის იმპერიალიზმის წინა შეიცვალა რევოლიუციონურ ძლ რებით და თანასწორობით საერ შორისო საკითხებში.

15. საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ამიერ-კავკასი რესპუბლიკები გახდენ მართლაც მოუკიდებელნი მსოფლიო მტაცებ ბისაგან. მენშევიკებს, დაშნაკებს მუსავატისტებს დამოუკიდებლობა მოუღიათ როგორც ჩაშლა და ლა მუშათა კლასის ერთიან რე ლიუციონურ ფრონტის და მს ლიო კაპიტალის და მის აგე ტების, სულთანის, გერმანელ, ინგ სელ და სხვა გენერლების ფეხ ლოკვა. ამიერ-კავკასიის რესპუბ კის ფედერაციამ კიდევ უფრო გა ტკიცა ფედერატიულ რესპუბლ ბის საერთაშორისო მდგომარე ძალების გაერთიანებამ ამიერ-კ სიის რესპუბლიკების ფედერა შექმნის საშუალებით გიგანტ ნაბიჯით წასწია წინ ამიერ-კავკა სოციალ-ეკონომიური ცხოვრება ბოლო მოუღო ეროვნულ ან ნიზმს.

16. თავის არსებობის მოკლე განმავლობაში საბჭოთა ხელისუფ ბამ ამიერ კავკასიაში შეასრულ და სამეურნეო მუშაობა; გად მიწის საკითხი, რითაც ეკონომ

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქტორს.

ამხ. ლადო დუმბაძის და სერგო თაბაგარის გამოწვევის გამო შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის მუშების სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ ჩემს კარგ ამხანაგებს და მეგობრებს: **ყვირილიდან:** 1) დათიკო დეკანოსიძეს, 2) სიმონ ცუცქირიძეს, 3) კოლია ფუტკარაძეს; **ხარაგოულიდან:** 4) სერგო ნინიტაშვილს, 5) შუშანიკა არჯევანიძეს, 6) იოსებ ქუთათელაძეს, რკ. გზ. სად.) 7) მელიტონ არჯევანიძეს, 8) გრიგოლ დევდარიანს, 9) ტერენტი ლომსაძეს; **ჭიათურიდან:** 10) ილარიონ ბურჯანაძეს, 11) მიშა ცუცქირიძეს, 12) ანეტა ჩიხელიძეს, 13) ინჟენერ სტ. ტურიანს, ხოლო **ტფილისიდან:** 14) კირილე ბარამიძეს.

ფ. ლაბაძე

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას

შემომაქვს ერთი ჩერვონეცის ღირებულება 63 მილ. მან. ამხ. ს. ხვედელიძის და სერგო თაბაგარის საპასუხოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ ჩემს კარგ მეგობრებს: **ტყიბულიდან:** ამხ. იაშა ახობაძეს, რაჟდენ ცირეკიძეს და გიორგი ქავლაშვილს; **ჭიათურიდან:** ამხ. ს. ჭეიშვილს, ალექსანდრე სიმ. ვაშაძეს, მინა აბაშიძეს, ივანე თევზაძეს, სადიკო ვაშაძეს, პეპელა წერეთელს, ვსევოლოდ კაპანაძეს და გიორგი მელაძეს. **ტფილისიდან:** კოწია ფაჯარიძეს; და ლორთქიფანიძეს („ჩემო") სამომხმარებლო კავშირის ტფილისის გაერთიანებული ადგილკომის მდივანს ამხ. გრ. ძნელაძეს და ადგილკომის წევრებს. **შუაკავშირიდან:** ამხ. გიორგი კალმახელიძეს, ალექსი მაისურაძეს და მალაქია მიქელაიშვილს.

გალიკო კუპატაძე.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას

ამხ. კლიმენტი სულავას საპასუხოთ შემომაქვს სამოცი მილიონი გერმანის მუშების დასახმარებლათ და ვიწვევ შემდეგ პირს: **ჭიათურიდან:** 1. აბაშიძე მინა, 2. ბერიძე ივანე, 3. ჩიხელიძე ანეტა, 4. ანდღულაძე თამარი, 5. წერეთელი ირაკლი, 6. ხუნდაძისა თამარი, 7. ვაშაძე სადიკო, 8. წერეთელი ვალოდია, 9. ცომაია ბაგრატი, 10. საყვარელიძე პავლე, 11. ხიჩინაშვილი მარუსია. **ტყიბულიდან:** 1. ცირეკიძე რაჟდენი.

გოგუცა ჯოხაძე

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქციას.

ამხ. ამხ. კ. ხომერიკისა და შ. გოგიშვილის გამოწვევის თანახმათ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ ვსწირავ ერთ ჩერვონეცს და ვიწვევ შემდეგ პირებს: ბეჟან ხუნდაძეს, არტემ თედორაძეს, გიორგი ჭყონიას, გიორგი კვაშალს, დომენტი თალაკვაძეს, მაჭუტაძეს და დათიკო შავიშვილს.

ანდრო დოლიძე.

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას.

შემომაქვს სამოცი მილიონი მანეთი ამხ. კლიმენტი სულავას გამოწვევის საპასუხოთ და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ჭიათურიდან: პავლე გველესიანს, ელიფთერ ლვალაძეს და იპოლიტე ვართაგავას. **ზესტაფონიდან:** ისიდორე კოსტავას.

ნიკიფორე ტყემალაძე

(შორაპნის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის პ. | მ. მდივანი).

გაზეთ „კომუნისტი"-ს რედაქციას.

ამხ. კლ. სულავას გამოწვევით შემომაქვს სამოცი მილიონი მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ვარლამ მასხარაშვილს, მიშა კავთელაძეს, ლოტია ლეჟავას, ანიჩკა სესიას ასული ლეჟავას, გოგონა წერეთელს, პოლიევქტ აბესაძეს, ანტონ გოცირიძეს, კოწია აბულაძეს, თამარა ლენტორის ასული გოგოლაშვილს, და ავქსენტი მეგრელიძეს.

ტფილისიდან: კოლია ლლონტს და მიშა ნიორაძეს.

იმედი მაქვს ამ გამოწვევას აღფრთოვანებით შეხვდებიან ამხანაგები და მეტს თუ არა, სამოც მილიონს სიხარულით გაიღებიან.

შორ. მაზრ. საბჭ. მუშაკების პროფკ. პ. | მ. მდივანი **ბიტოლი ლეჟავა**

ჭიათურა

ამხანაგო რედაქტორო!

ვეხმაურები რა თბილისის კომიტეტის მოწოდებას და ამხ. დ. ნასარიძეს გამოწვევას, ჩემი და ჩემი ცოლის მხრივ გერმანიის მუშების დასახმარებელ ფონდის გასაძლიერებლათ შემომაქვს ოქროს სამაჯური 1 ცალი და საგულე თვლით ოქროსი 1 ცალი და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს და მოქალაქეთ: თ. გორგასლიძეს, ვლ. ცობაძეს, ვ. ლოლობერიძეს, ილი ტაგიზადეს, ნ. ხანოიანს, პ. ბუზუას, კოწია სტურუას, ვასო თათეიშვილს, ვ. გოქაძეს, იოსებ გვარამაძეს და ოლა მაისურაძეს. წინადადება ეძლევა მათ გამოწვეულთ თავის მხრივაც არა ნაკლები ათი ამხანაგისა და წარადგინონ „კომუნისტის" რედაქციაში თითო ჩერვონეცი.

პ. დვალი.

გაზ „კომუნისტის" რედაქციას.

ამხ. აზნენ უმბრიევის გამოწვევის საპასუხოთ ვწირავ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ერთ ოქროს სამაჯურს, ერთ ოქროს ბეჭედს და ვერცხლის მანეთიანს.

ანიჩკა ხაზაშვილი

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას.

ამხ. აზნენ უმბრიევის გამოწვევის გამო ვწირავ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ სამ მანეთს ვერცხლის ფულს.

მარია თაქთაქიშვილი.

შემოვიდა 17 ოქტომბერს

1) ფ. ლაბაძე 1 ჩერვონეცი, 2) ი. ქუთათელაძე 1 ჩერვონეცი, 3) გ. კუპატაძე 63.000.000 მანეთი, 4) ა. დოლიძე 63.000.000 მ., 5) ჯობაძე 60.000.000 მ., 6) ტყემალაძე 60.000.000 მ., 7) ბ. ლეჟავა 60.000.000 მ., 8) მ. დავიდოვი 10.000.000 მ., 9) აბესაძე 10.000.000 მ., 10) ს. თალაქვაძე 10.000.000 მ., 11) სვანიძე 5.000.000 მ., 12) პ. დვალისაგან 1 ოქროს სამაჯური და 1 ცალი საგულე ოქროსი, 13) ან. ხაზაშვილისაგან 1 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს ბეჭედი და 1 ვერცხლის მანეთი 14) მ. თაქთაქიშვილისაგან ვერცხლის სამი მანეთი

სულ 2 ჩერვონეცი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს ბეჭედი, 1 ოქროს საგულე, 4 მანეთი ვერცხლით და 341.000.000 მან.

წინათ შემოსულით 232 ჩერვონეცი 1 ნახ. გირ. ინგლ. სტერლინგი 3 ოსმალური ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 3 ოქროს ბეჭედი, 2 ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე. 6 მანეთი ვერცხლით და 1.974.682.000 მანეთი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(16 ოქტომბერი)

ჩერვონცები —	63,700
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	56,700
ჩეკები —	52,000
დოლარები ეფექტ. —	13,000
ჩეკები	12.100
ოსმ. ქაღ. ლირა	6.900
იტალიური ლირა	375
ფრანგული ფრანკი	560
საბჭ. ფულის ნიშნები	12 ნახ.

ბირჟის მიწოდება.

(16 ოქტომბერი).

ლურსმნები. ფხვნილი შაქარი რუს. შამპანიური ღვინო „აბრაუ-დიურსო" კარტოფილის ბადაგი. სელის ზეთი. ჩაი. აბრეშუმი დაურთავი. ტყის მასალა. იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი. მაკარონი. კანაფი. ტომრები. რუსული ქაღალდის მანუფაქტურა. ქიმიური ნაწარმოები სოდა კაუსტიური. საპონი. ასანთი. ცემენტი და ეტერნიტი. ევქალიპტის ზეთი კონიაკის სპირტი. ურალის რკინეულობა.

ბირჟის მოთხოვნილება

(16 ოქტ.)

ყუბანის საკანდიტერო ფქვილი 1 ხარ. ფხვნილი შაქარი რუს. შაქარი—რაფინადი რუს. ტექნიკური ცხიმები აბრეშუმი დაურთავი. ელექტრონის ლამპონები. ჩაი. ნედლი ტყავეული. ქვამარილი ნახიჩევანის და ბახმუტის. ბამბა. მატყლი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

(16 ოქტომბ.)

ტფილისის ბაზრის საერთო განწყობილება: შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

16 ოქტომბერს დადებულია ბირჟის გარეშე 8 გარიგება, სულ 1142 ჩერვ. მან. თანხისა.

ოფიციალური გარიგებანი

(16 ოქტ.)

ფხვნილი შაქარი რუს. 15 მან. 50 კაპ. ჩერვ. ფუთში ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ფანჯრის მინა — 0,82 ჩერვ. კაპ. და 1,09 ჩერვ. კაპ. ვერშოკში ფრანკო—სტამბოლი. მარილი ბეიუკშირის (Беюкширская) 75 კ. ფუთში, ფრანკო სადგ. ტფილისი.

მუშკოპის ფასები

(16 ოქტ.)

პური 1 ხარ. — 325 ათ., პური 2 ხარ. — 275, ძროხის ხორცი — 950 ათ., ცხვრის ხორცი — 1300 ათ., შაქარი ფხვნილი — 2,650, მაკარონი 1050 ათ. კარტოფილი — 80 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები

(16 ოქტომბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 450—500 ათ., პური 2 ხარ. — 300, ძროხის ხორცი — 1200, ცხვრის ხორცი — 1500, შაქარი რაფინ. — 3 მილ. ფხვნილი შაქარი — 2650. ათ. ბრინჯი ალდაშ. — 750 მაკარონი 1100 კარტოფილი 125—150.

ტყავეულობის მრეწველობა.

ხუთ საწარმოვო დაწესებულებაში, (ტყავის ქარხანა № 1, ტყავის ქარხანა № 3, ფეხსაცმელის ფაბრიკა, ელექტრონის სადგური და რჩეულ ფეხსაცმელების სახელოსნო) სექტემბრის განმავლობაში მუშაობა მიმდინარეობდა ნორმალურ წესით. დროებით მუშაობდა მხოლოდ ჯილის ფაბრიკა, რადგანაც მის ნაწარმოებზე ნაკლები მოთხოვნილება იყო. საანგარიშო თვის ბოლოს ტყავეულობის ყველა განყოფილების დაწესებულებებში ითვლებოდა 420 კაცი, რომელთაგან საწარმოვო მუშა 343, დანარჩენი სავაჭრო და ცენტრალურ სამმართველოში ირიცხებიან.

ხუთმა საწარმოვო დაწესებულებამ სექტემბრის განმავლობაში დაამუშავა საქონელი 77.253 მან. ჩერვ. ღირებულებისა. აქედან უმთავრესი ნაწილი ეკუთვნის ფეხსაცმელის ფაბრიკას (40 პროც.), მერე ტყავის ქარხანას № 1.

ტყავის ორმა ფაბრიკამ დაამუშავა თვის განმავლობაში 1689 მსხვილი და 766 წვრილი ტყავი,—75 პროც. თვიური საწარმოვო პროგრამის.

ფეხსაცმელის ფაბრიკამ ამ თვეში მოამზადა 378 წყვილი წაღები, 477 სანდალი, 2915 წუღები და 411 წყვილი ჯილის ფეხსაცმელი.

საერთოდ ყველა წარმოებებს ეტყობა აშკარა ტენდენცია პროდუქციის ზრდისა. სექტემბრის თვის განმავლობაში ამ ბაზარმა მიაწოდა ტყავეულობას განყოფილებას 1766 მსხვილი ტყავი, რაც შეადგენს მხოლოდ 75 პროცენტი საჭირო ნედლეულის რაოდენობას. ეს მოვლენა იმის მაჩვენებელია, რომ ახლო მომავალში განყოფილება მიიღებს საკმარისს ნედლეულობას სექტემბრის განმავლობაში წარმოებას მოახმარეს 1775 მსხვილფეხა საქონლის ტყავი. საერთოდ წარმოებაში იმყოფება სულ 6440 მსხვილი და 1000 წვრილი ტყავი, რაც შეადგენს საწარმოვო პროგრამის 76 პროცენტს.

საქ. სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს სათბობის განყოფილებაში

წარსული თვე—სექტემბერი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ნავთის ნაწარმოებთა მოთხოვნილების გაცხოველების დასაწყისი. მართლაც, საერთო რაოდენობამ გაცემულ ნავთის ნაწარმოებთა ამ თვეში საგრძნობლად აიწია წინა თვესთან შედარებით (46,3 პრ.-ით) ეს მოხდა უმთავრესად მაზუთის და ნავთის მომხმარებლობის გაფართოვების გამო. სახელდობრ,—წაღებულია მაზუთი 243 პროცენტით და ნავთი 156,6 პროცენტით მეტი, ვიდრე აგვისტოში.

საანგარიშო თვის განმავლობაში წაღებულია სათბ. განყოფილების საწყობებიდან: მაზუთი—38 353 ფუთი, მოტორის ნავთი—17244 ფ., ნავთი—25728 ფ., ბენზინი—2524 ფ. და ნავთის ზეთი 2536 ფ., სულ 86 385 ფ. (აგვისტოში გატანილი იყო 59.051 ფ.) აღნიშნული გადიდება უნდა მივაწეროთ ჯგუფს „ვოდოსვეტ"-ს, რომელმაც წაიღო სექტემბერში 24 671 ფ. ნავთის ნაწარმოები, 421 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა თვეში. აქედან უმეტესი ნაწილი წაღებულია წყალსადენის მიერ, რომელიც აკეთებს თავის პერიოდულ მზადებას.

ასეთივე მომატება ეტყობა ჯგუფს „მრეწველობა"-ს, რომელმაც საანგარიშო თვეში წაიღო 19 პროცენტზე მეტი. უმეტესი ნაწილი ეკუთვნის ლითონის დარგს, რომელმაც დახარჯა 137 პროცენტით მეტი. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ქარხანამ „შახართ", რომელიც გადავიდა მეურნ. უმაღლეს საბჭოს განკარგულებაში,—დადგა ახალი „დიზელი". გარდა ამისა ელექტრო-მექანიკურმა ქარხანამ „ტემზა"-მ მეტი სათბობი მასალა გაიტანა.

ზამთრის სეზონის დაწყებისთანავე სათბობის განყოფილებამ გაალო ახალი დუქნები. სექტემბერში გაღებულია ორი დუქანი №№ 11 და 12; ამ ახლო მომავალში გაიხსნება კიდევ 3.

რაც შეეხება ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებს, აქ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ საანგარიშო თვეში იმატა როგორც ნახშირის წარმოებამ, ისე მის განაღდებამ: პირველმა 70 პროც., მეორემ კი 7,2 პროცენტით. უმეტესი ნაწილი წაღებულია ამიერკავკ. რკინის-გზის მიერ.

ბაზა წაერთვა ფეოდალურ არისტოკრატიის პოლიტიკურ გავლენას დაბეჩავებულ გლეხობაზე. მრეწველობაში ნაციონალიზაცია გატარდა და იგი მუშაობს მშრომელების და არა ცალკე მწარმოებელთა სასარგებლოთ, მიღებულია რეალური ზომები იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებისაგან განადგურებულ მეურნეობის აღსადგენად, მიტოვებული და გაჩერებული წარმოებანი აღორძინების გზაზეა დამდგარი, სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა ელექტროფიკაციის განსავითარებლად, სისრულეში მოდის ვეებერთელა მინდვრების მორწყვის ფართო გეგმები და უკვე მრავალი რაიონები უნაყოფო უდაბნოების და კალიას სათარეშო ადგილების ნაცვლად გადაიქცნენ ნაყოფიერ მინდვრებად. რკინის გზის ტრანსპორტი მოწესრიგებულია, ზოგიერთ ადგილებში შენდება ახალი რკინის გზები და გზატკეცილები. მდიდარი ნავთის სამრეწველოები ბაქოში თავისი ნაყოფიერებით უახლოვდებიან ომამდე არსებულ ნორმას. განადგურებული გლეხობა დგება მტკიცე სამეურნეო ნიადაგზე და მისი ყიდვის უნარიანობა მნიშვნელოვნათ გაიზარდა. დამყარებულია მჭიდრო კავშირი გლეხობასა და მუშებს შორის, რაც არის ამიერკავკასიის ეკონომიური წარმატების საწინდარი.

17. საბჭოთა აპარატები ადგილებზე მოწესრიგებული არიან და თუ მათში ზოგიერთ ადგილებში შენჩნეულია ნაკლი, მისი თავიდან ასაცილებლად მიღებულია საჭირო ზომები. მუშების და გლეხების დახმარებით საბოლოოდ განადგურებული არიან მუსავატისტების, დაშნაკელების და მენშევიკების კონტრრევოლიუციონური ორგანიზაციები. მუშების და მშრომელ გლეხობის ერთმა ნაწილმა, რომელიც იყო შეცდომაში შეყვანილი მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების მიერ, აღიარა თავისი შეცდომა და დიდი ხანი არ არის, რაც კავშირი გასწყვიტა თავის გამცემელ მენშევიკურ, დაშნაკურ და მუსავატისტურ პარტიებთან და დაშლილად გამოაცხადა ისინი.

18. სახალხო განათლების დარგში ყოველგვარი უპირატესობანი მშრომელებს აქვთ მინიჭებული. საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს იღებს სიბნელესთან საბრძოლველად, გაღებულია მრავალი დაბალი, საშუალო და მაღალი სკოლები, გამოცემულია მრავალი პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადო განათლების ლიტერატურა და სახელმძღვანელოები ეროვნულ ენებზე, გამოდის მრავალი გაზეთები და ჟურნალები თათრულ-სომხურ, ქართულ და რუსულ ენებზე. ამიერ-კავკასიის ბიუჯეტის ნახევარს შეადგენენ საგანმანათლებლო ხარჯები, წინააღმდეგ მუსავატისტების, დაშნაკელების და მენშევიკებისა, რომელნიც ქვეყნის სიმდიდრეს ხარჯავდენ ეროვნებათაშორისო უთანხმოებისათვის ხელის შესაწყობად.

19. მუშათა პოლიტიკის დარგში აღსანიშნავია მრავალი მიღწევანი. მუშათა ორგანიზაციები ჩანასახოვან მდგომარეობიდან გადავიდენ ცხოველმყოფელ და ძლიერ გაერთიანებებში, რომელნიც განაგებენ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას. ხელფასი საერთოდ და მთლიანად ძალიან დაუახლოვდა ომამდე არსებულ საცხოვრებელ მინიმუმს, ზოგიერთ დარგებში კი მიაღწია კიდეც ამ მინიმუმს. რევოლიუციონური მართლმსაჯულება მოწყობილია ყველგან და მორიგ ამოცანად ითვლება მისი გაუმჯობესება კლასიურ იუსტიციის თვალსაზრისით. ადმინისტრატიული ხელისუფლების ორგანოები გაჯანსაღდენ, ფინანსიური მეურნეობა უმჯობესდება. ყველაფერმა ამან საშუალება მისცა მშრომელებს დარწმუნებული იყონ ხვალინდელ დღეში და კიდევ უფრო გააძლიერონ ეკონომიურ აღორძინებისაკენ მიმართული თავიანთი მუშაობა.

20 საერთო-პროლეტარულ ფრონტისაგან, კერძოთ საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორებამ მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატისტების დროს მოიტანა ამიერ-კავკასიის მშრომელებისათვის ძალიან მძიმე პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები. ეხლა ჩვენი სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება დაკავშირებულია სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ძლიერ კავშირთან. მხოლოდ ყველა საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირის დამყარების შემდეგ, ჩქარის ტემპით დაიწყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოციალ-ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება.

21. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ბედ-იღბალი უშუალოთაა დაკავშირებული მსოფლიო რევოლიუციის ბედ-იღბალთან. ს. ს. რ. კავშირის პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვების შემდეგ. დიდი წინააღმდეგობა ბურჟუაზიის ბანაკში, მსოფლიოს სოციალურ ბრძოლის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში, დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში,—ყველაფერი ეს აძლიერებს საბჭოთა რესპუბლიკების ღირსებას და შლის ახალ პერსპექტივებს; მორიგ საკითხად დაისვა პროლეტარული რევოლიუცია გერმანიაში.

22. მსოფლიო ომმა, რომელიც ვერსალის „ზავით" დამთავრდა და რურის ამბებმა საბოლოოდ დაშალეს გერმანიის ეკონომიური ცხოვრება. გერმანიის პროლეტარიატს აღარ შეუძლია აიტანოს თავის და უცხოეთის ბურჟუაზიის დაცინვა. კოშმარულ დღეებს განიცდის გერმანიის მუშათა კლასი; თუ ეხლანდელი მდგომარეობა გაგრძელდა, გერმანიის პროლეტარიატს ემუქრება თანდათანობითი, მაგრამ აუცილებელი გადაგვარება. დადგა დრო, როცა გერმანიის მუშათა კლასი იძულებულია გაბედულად გამოვიდეს თავის მჩაგვრელების წინააღმდეგ და დაამხოს კაპიტალის დიქტატურა. გერმანიის ამბები ძალიან აწუხებს კაპიტალისტებს და ისინი ემზადებიან სისხლში ჩაახრჩონ გერმანიის მშრომელები. გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება გამოიწვევს მსოფლიო რევოლიუციის გიგანტურ გაშლას, მისი დამარცხება—მსოფლიო ფაშიზმის გამარჯვებას.

23. აი, ამიტომ გერმანიის რევოლიუციის ჩაქრობა წარმოადგენს რეალურ საფრთხეს ჩვენი ოქტომბრის მონაპოვართათვის. საერთაშორისო ბურჟუაზია ერთიანი ფრონტით ილაშქრებს გერმანიის რევოლიუციის წინააღმდეგ და ამ ლაშქრობის სასურველად დასრულების დროს ეჭვს გარეშეა, ბურჟუაზია შეინარჩუნებს თავის ფრონტს, რათა თავს დაესხას საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და მოსპოს მუშურ გლეხურ მთავრობის ყველა მიღწევანი. საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა წინაშე სდგას სერიოზული ამოცანა ყოველმხრივ დახმარება გაუწიონ გერმანიის მუშებს კაპიტალისტურ ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ვინაიდან მათი გამარჯვება არის ჩვენი გამარჯვება, მათი დამარცხება—ჩვენი დამარცხება, ჩვენი მონებად გადაქცევა, ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე ს. ს. რ. კავშირის ყოველმა მშრომელმა უნდა შეითვისოს და შეიგნოს ეს თვალსაჩინო და უტყუარი ჭეშმარიტება და იყოს მზად უსასტიკესი ბრძოლისათვის.

რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სააგიტ.-საპროპ. განყოფილება.

პროფკავშირებში

აჭარისტანის პროფსაბჭოში.

აჭარისტანის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დეტალურათ განიხილა საბინაო საკითხი. საკითხის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, პრეზიდიუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია ბათომის მუშების დიდი გაჭირვება ბინის კრიზისის გამო.

საბინაო კრიზისთან წარმატებით ბრძოლის საწარმოებლად საჭიროდ იქნა ცნობილი კომუნალ-მეურნეობის მიერ აჭარის პროფსაბჭოზე მუშების საჭიროებისათვის ორი სახლის გადაცემა იმ პირობით, რომ მომავალში მუშა სახლების რაოდენობა გადიდებულ იქნება. მუშების ბინის მხრივ უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია კომისია.

უმუშევრობა ჭიათურაში ქალთა შორის

ქალთა შორის გაძლიერებულ უმუშევრობის გამო; ჭიათურის პროფბიურომ დაადგინა გამოიყენონ მუშა ქალები შავი ქვის მაღაროების მსუბუქ სამუშაოზე. ამ მიზნით შრომის ადგილობრივ განყოფილებას წინადადება მიეცა გაგზავნონ სამუშაოზე სხვებთან ერთად მუშა-ქალებიც.

უმუშევართა გაწმენდა.

ჭიათურის შრომის ბირჟაში აღრიცხულა 400 მეტი უმუშევარი მაშინ, როცა მუშა-ხელისმოთხოვნილება სრულებით არ არის. ჭიათურის პროფბიურომ განიხილა უმუშევრობით გამოწვეული კრიზისი. იმ გარემოების გამო, რომ უმუშევართა შორის აღრიცხულია ბევრი შეუფერებელი ელემენტი, ბიურომ დაადგინა აღძრას უმუშევართა გასაწმენდათ კომისია. გაწმენდის შემდეგ აღრიცხვაზე დატოვებულ იქნება პროლეტარული ელემენტი, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება უმუშევრობის სრული ლიკვიდაცია.

სკოლები მშრომელთა ბავშვებისათვის

მედ. სანიტ. მუშაკთა კავშირის ადგილკომების პასუხისმგებელ მდივანთა თათბირმა გამოჰყო ამხანაგების მთელი რიგი, რომელიც მონაწილეობას მიიღებენ შრომის სკოლებში ბავშვების მიმღებ კომისიებში. კომისიაში წარგზავნილმა ამხანაგებმა უნდა კონტროლი გაუწიონ ბავშვების მიღებას იმ მხრივ, რომ პირველ რიგში უზრუნველჰყონ პროფკავშირის წევრთა შვილების მიღება.

საქ. განათლების მუშაკთა სახლი

გან. მუშ. კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა ტფილისის განათლების მუშაკთა სახლი ამიერიდან კეთდება სრ. საქ. გან. მუშ. სახლად. სახლის შესანახი ხარჯების დაფარვა დაკისრებული აქვს გან. სახ. კომის.

ქრონიკა

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.** დღეს, ოქტომბრის 18-ს, საღამოს 7 საათზე, სამეცნიერო ცენტრარქივის დარბაზში (ოლღას ქ. № 48) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც **ალექსანდრე წერეთელი** წაიკითხავს მოხსენებას: „სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში." კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **თესვის კამპანიისთვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა. კ. სახ. კომ. საბჭოს, რომ თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიას მიეცეს 150,000 ფ. სათესლე ხორბალი და აქედან 50,000 ფუთი კი მიეცეს განსაკუთრებით გორის მაზრას.

— **ფოსტა-ტელეგრაფების კანტორები.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაადგინა მაზრებში ფოსტა-ტელეგრაფების კანტორების შენახვა დაეკისროს ადგილობრივ აღმასკომებს.

— **ფილოქსერასთან ბრძოლა.** მევენახეობა მეღვინეობის სექციის მიერ შედგენილია მოხსენება კახეთში ფილოქსერასთან საბრძოლველათ და სახ. მამულების აღსადგენად სესხის მიცემის შესახებ.

— **საქონლის ჭირი.** სექტემბრის განმავლობაში საქონლის ჭირი მძვინვარებდა ორ მაზრაში: ტფილისის მაზრაში (3 პუნქტში) და გორის მაზრაში (2 პუნქტში)

— **მინდვრის თაგვები სიღნაღის მაზრაში.** სასოფლო-მეურნეობის მავნეებთან მებრძოლ ბიუროს ცნობით, სიღნაღის მაზრაში მინდვრის თაგვები გავრცელებულია 35,000 დესეტინაზე. აღნიშნულ ადგილზე უკვე მოეწყო თაგვების წინააღმდეგ საბრძოლველი პუნქტები.

— **მესაქონლეობის ფერმები.** საქონლის მოშენების ქვე-განყოფილება საქ. პროფკავშირთა საბჭოს დავალებით ამუშავებს მცხეთაში მუშათა დასასვენებელ სახლებთან ფერმების ასაშენებელ გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას.

— **ვაჭართა საზოგადოების მოქმედება სპარსეთში.** რუსეთის ვაჭართა საზოგადოება სპარსეთში აარსებს საურთიერთო ვაჭრობის კანტორას. კანტორის დაარსების მიზანია რუსეთის, ა.-კავკასიის და სპარსეთის შორის ვაჭრობა მრეწველობის დამყარება.

— **მოზარდ-უმუშევართა გაწმენდა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა მოახდინოს მოზარდ უმუშევართა გაწმენდა.

დაუზღვეველი უმუშევრები. შრომის ბირჟამ დაადგინა იმ უმუშევრებს, რომელნიც ჩარიცხულნი არიან ბირჟაში, მაგრამ არ არიან დაზღვეულნი და არც შეღავათი ეძლევათ, მიეცეთ შრომის ბირჟის წიგნაკების მაგივრათ დანომრილი ქაღალდის ბლანკები.

— **სატყეო არტელის დაშლა.** შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა სრულიად დაიშალოს სატყეო არტელი.

— **სატელეგრაფო კურსები.** მიმდინარე წელს რკინის გზის სამმართველოსთან არსებულ სატელეგრაფო კურსებზე მიღებულ იქნა 22 კაცი. ყველა კურსანტები უმუშევრები არიან.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 16 ოქტომბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 50 კაც. უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—172, სამუშაოზე გაიგზავნა—65.

— **კრებული ამხ ბორის ძნელაძის შესახებ.** ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკამ გადასწყვიტა გამოსცეს ამხ. ბორის ძნელაძის ხსოვნის აღსანიშნავად სპეციალური კრებული მისი მოღვაწეობის შესახებ.

— **ახალი დადგენილება.** შრ. სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული იქნა დადგენილება საპარიტეტო-საკონფლიქტო კომისიების სახელმძღვანელოდ.

— **ვერის მუშათა კლუბი.** კვირას 21 ოქტომბ. ყოფ. კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების შენობაში, ოლღას ქ. № 29 დილის 10 საათზე დანიშნულია ვერის მუშათა და მცხოვრებთა საერთო კრება მუშათა კლუბისა და თეატრის აგების შესახებ.

— **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების კრება.** ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში შესდგება კრება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა. დღიური წესრიგი: 1. პროფ. ვირსალაძე,—საბალნეოლოგიო და საკურორტო სექციის დაარსება საზოგადოებასთან. 2. ექ. შ. მიქელაძე—სისხლის წნევა მალარიის დროს. 3. ექ. შალამბერიძე—დრომდე მიტანილი ორსულობა ორ რქიან საშვილოსნოს განუვითარებელ რქაში.

— **ახალი ჟურნალები.** ამ მოკლე ხანში გამოვა ანტი-რელიგიური ჟურნალი „ღვთის წინააღმდეგ". ჟურნალს რედაქტორობს კ. ორაგველიძე.

— 25 ოქტომბრისთვის გამოვა ქალთა ჟურნალი „ჩვენი გზის" მეორე ნომერი.

— **მომავალი.** ყოველთვიური საპოლიტიკო-სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი „მომავალი" № 9—10—(16—17), სექტემბრის და ოქტომბრის თვეების, იბეჭდება და გამოვა ამ მოკლე ხანში—შემდეგი განყოფილებებით: 1. პოლიტიკური 2. თეორეტიულ-მარქსისტული 3. ლიტერატურა. 4. ახალგ. კომ. კავშირის წარსულიდან 5. მეცნიერება და ტეხნიკა. 6. სხვადასხვა. 7. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ჟურნალი შეიცავს 200 გვერდს, დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 1 მან. ჩერვონცით.

შემთხვევები.

— **ქურდობა.** 15 ოქტ. გაქურდეს მოქ. მარიამ ფარესაშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს 500 ჩერვონეცის ნივთები.

გვამის პოვნა. 15 ოქტ. ორთაჭალის ხევში იპოვეს კაცის გვამი. მოკლულის ვინაობა ჯერ არ არის გამორკვეული.

— **დაჭრა.** 15 ოქტ. საღამოს 8 საათზე დიდუბის ქ. შესახვევში მოქ. ხლისტოკმა სასიკვდილოთ დასჭრა მოქ. გაპონჩიკოვი. დამნაშავე შეიპყრეს.

— **ბოროტმოქმედის შეპყრობა.** 15 ოქტომბერს შეპყრობილ იქნა მარქაროვი, რომელსაც ბრალდება სხვადასხვა ქურდობა.

„ახალგაზრდა მარქსისტების" დღე

ტფილისის 3-ე რაიონის ახ. მარქსისტთა კონფერენცია

მოწვეულია 18 ოქტომბერს ავლაბრის თეატრის შენობაში:

დღის წესრიგი:

1. გაერთიანებული ფრონტის ძირითადი მოტივები (მომხ. ალ. ცინცაძე).
2. ეროვნული საკითხი (შ. სიხარულიძე).
3. დეკლარაცია.
4. მიმდინარე საკითხები.

საინიციატივო ბიურო.

ტფილისი

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ გამოაქვეყნოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე შემდეგი: ჩვენ მე-4 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტები ვესალმებით ახ. მარქსისტთა მიმდინარე კონფერენციებს და ვალდებულად ვრაცხთ თავს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კერძოთ მე 4 რაიონის კონფერენციაზე, რომელიც გაურკვეველ ბურუსიდან გამოიყვანს ახ. მარქსისტებს:

1. დოლიძე ალექსანდრე, 2. თოთიბაძე დავითი, 3. ფარულავა ვარლამი, 4. ფარულავა შალვა, 5. ბერაძე გრიგოლი, 6. ურშაძე იოსები, 7. დოლიძე ბენიამინ, 8. ღარიბოვი ისაკი, 9. კვერენჩხილაძე კლიმენტი, 10. კალანდაძე ივანე, 11. კაპანაძე ვლადიმერი, 12. გეგია ვლადიმერი, 13. ლეონტი შალვა.

ხელოვნება

„ტრავიატა".

განახლებულია ვერდის უკვდავი ოპერა „ტრავიატა", რომელიც შექმნილია 1855 წელს. ოპერა დღემდე არ გამოდის რეპერტუარიდან. ზოგიერთი მელომანების აზრით, ვერდის ეს ოპერა უკვე ისე მოძველდა, რომ არავითარ ინტერესს არ იწვევს ოპერის სერიოზული დამფასებლის თვალში, მაგრამ ერთ დროს ეს ოპერა იყო მთელი მიღწევა, თავისებური რევოლიუცია, რამაც გააფართოვა ოპერის სფერო არაჩვეულებრივ საზღვრამდე. იმ ეპოქას ოპერების უმრავლესობა წარმოადგენდა ფრანგული სკოლის ტიპიურ ნიმუშებს. იმ ეპოქის მუსიკალურ ცენტრში—პარიზში გამეფებული იყო იყო მეიერბერი, grands operas ნიმუშების შემქმნელი. რეპერტუარიდან არ იყო გამორიცხული მისი ნაწარმოებები „ჰუგენოტი", „წინასწარმეტყველი" და სხვა.

ამ ოპერების მომქმედი პირები იყვნენ ისტორიის ან რომანტიული ლეგენდების გმირები. მაგრამ უეცრად ვერდი ჰქმნის ტრავიატას, რომლის სიუჟეტი აღებულია ალექსანდრე დიუმას რომანიდან—„დამა კამელიებით" La dam outcomelias). ოპერაში საგმირო საქმეების და სასახელო თავდადების მაგიერ ვხედავთ ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებას,—ექიმი, ჰლექი, წამალი და სხვა. რასაკვირველია, ამ ოპერას, რომელიც პირველათ დაიდგა ვენეციაში, არ ჰქონია გამარჯვება და ფშტვენითაც კი შეხვდენ მას. მაგრამ მშვენიერება არ კვდება. ნიჭიერი ოპერა ამის შემდეგ იდგმება ყველა ქვეყნების სერიოზულ სცენებზე. ეს ოპერა თავიდანვე სარგებლობს დიდი პოპულიარობით. ტფილისშიაც ბევრ ვინმესათვის მოუსმენიათ ტფილისის მელომანებს უბედური კურტიზანკის ვიოლეტ ვალერის (La Traviata—ე. ი. პატიოსან გზას ამცდარი ქალი) პარტიაში. მთავარი პარტიის შემსრულებელმა პოპოვამ ჯერ კიდევ გასულ სეზონში ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, ხოლო ეხლანდელ წარმოდგენის დროს ჩვენ ვხედავთ ისეთსავე თამაშს, ვოკალურ შესრულებას და იშვიათი სილამაზის ტემბრს და ტეხნიკას, მომღერალის თავისუფლად განვითარებული ხმა ახდენს მომჯადოებელ შთაბეჭდილებას და იწვევს აღგზნებას თავისი სითბოთი. სცენიური გადმოცემა ძლიერ რთულია, მაგრამ მაინც არის ისეთი ადგილები, რომლებშიც მოსჩანს გულწრფელობა. (სცენა ბალის და სცენა სიკვდილის დროს) შესანიშნავათ ასრულებს ჟერმანის პარტიას კრიჟანოვსკი. სიმღერაში ბევრია სულიერი განწყობილება. უნდა აღინიშნოს ლირიზმზე გადასვლა მე-2-ე აქტის პირველ არიაში (შვილთან და ვიოლეტტოსთან). მსახიობს შესაფერი გრიმი აქვს ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილა კავსაძემ ალფრედის პარტიაში მომღერალი სრულებით ვერ მიდის წინ ვერც ვოკალური და ვერც სცენიური მხრით. როგორც წინათ, ისე ეხლაც სიმღერაში ნაკლებია განწყობილება. მომღერალს აქვს საკმაოთ სასიამოვნო ტენორი ყელის ხასიათისა, მაგრამ კავსაძე სიმღერის დროს არ იძლევა არავითარ დასურათებას, ის სრულებით არ ეერთდება სცენას, ასრულებს რა თავის პარტიას ტრაფარეტულათ, თითქოს დაზეპირებული გაკვეთილი იყოს. არ არის არც თამაში, არც მიმიკა. ამას უნდა მიექცეს რეჟისორის ყურადღება, რადგანაც მომღერალის ასეთი გულგრილი მოპყრობა მის გარშემო მიმავალ მოქმედებისადმი და მოქმედების განვითარებისადმი იძლევა დისონანს საერთო შესრულებაში.

ყველა დანარჩენი პარტიები ეპიზოდიურია, საუცხოვო იყო ორკესტრი ივანე ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. სათუთად არის შესრულებული მე-4-ე აქტის შესავალი.

მუსიკოსი.

— **სეზონის გახსნა სახალხო სახლში.** კვირას, 21 ოქტომბერს გაიხსნება ტფ. სახალხო სახლის სეზონი შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი"-თ. პიესას დასდგამს რეჟისორი ი. ბარველი.

— **ახალი მწერლობის კავშირში.** კვირას, 21 ოქტომბერს, ხელოვანთა სასახლეში გაიხსნება ახალი მწერლობის კავშირის ლიტერატურული კვირეების სეზონი. ტიციან ტაბიძე სიტყვას იტყვის „მომავალი სეზონი"-ს შესახებ. მოხსენებას გააკეთებს გრიგოლ რობაქიძე თემაზე: „ექსპრესიონიზმი". დასწრება ყველას შეუძლია.

— **ვარია მესხიშვილის გასტროლები დასავლეთ საქართველოში.** ვარია მესხიშვილი გაემგზავრა სამგასტროლოთ დასავლეთ საქართველოში. მსახიობი თავის რეპერტუარს გაიმეორებს ქუთაისში და ბათომში.

— **ლადო მესხიშვილის ძეგლი.** რუსთაველის თეატრში გრიგოლ რობაქიძის თავმჯდომარეობით შესდგა ლადო მესხიშვილის ძეგლის ასაგებათ საინიციატივო კომისია, რომელშიაც შედიან კ. მარჯანიშვილი, ვარია მესხიშვილი, ლადო სვიმონიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრიშაშვილი და დ. ჩხეიძე.

ხელოვნების სასახლის ბიულეტენები. მთავარ სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს ხელოვნების სასახლის ბიულეტენები, რომელშიდაც მოთავსებული იქნება სასახლის მუშაობის ანგარიშები.

— **ქართველ ხელოვანთა და მოღვაწეთა პორტრეტები.** ხელოვნების სასახლის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი ქართველ ხელოვანთა და მოღვაწეთა პორტრეტების დასახატავათ. პორტრეტები მოთავსებული იქნებიან სასახლეში.

— **ქართული დრამის სეზონის გახსნა.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიხსნება ქართული დრამის სეზონი. წარმოდგენილი იქნება გ. ერისთავის კომედია „გაყრა" კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **სახელმწიფო ოპერის მთავარი რეჟისორი.** პეტროგრადიდან ტფილისში ჩამოვიდა რეჟისორი რაპოპორტი, რომელიც მიწვეულია სახ. ოპერის მთავარ რეჟისორად. ერთი მისი უახლესი დადგმა იქნება „ოქროს მამალი" (ზოლოტოი პეტუშოკ).

— **მოქანდაკე ი. ნიკოლაძის შუამდგომლობა.** სახ. საქ. კომისართა საბჭომ დააკმაყოფილა მოქანდაკე ი. ნიკოლაძის შუამდგომლობა მის სამხატვრო ატელიეს მოსაწყობად დამატებითი თანხის გაღების შესახებ.

ჩვენი თეატრის ბედ-იღბალზე

მომავალი სეზონის რეპერტუარი.

IV.

დღევანდელი თეატრის მესვეურთათვის:

იგივე სენი.

იგივე დაუდევრობა.

იგივე ფსიხოლოგიური გაუთვალისწინებლობა ხალხის ალღოსი და დროებისა.

მართლაც გაგონილა ახლად სათამაშო ოცი პიესიდან თექვსმეტი უცხო და ოთხი—ქართული.

ის ქართულებიც თქვენა გგონიათ თანამედროვე რამეა?

ან მართლა ახალი?

თუ „ვეფხვის ტყაოსნის" სასცენოდ გადაკეთებას არ ჩავსთვლით, სხვა ყველა სულ ძველი დროების არქივიდან არის ამოთრეული.

იგივე ითქმის განსამეორებელ რეპერტუარზე:

ათი ავტორიდან მხოლოდ ხუთია ქართველი.

და ისინიც არც ერთი არ აძლევს საზრდოს **თანამედროვე** გემოვნებას. „მზის დაბნელება", „დარისპანის გასაჭირი", „ირინეს ბედნიერება"—ყველა ეს მხოლოდ უბრალო სურათებია პატარა ცხოვრებისა.

მთელი ამ არჩევანიდან ყველაზე „ახლებათ" უნდა ჩაითვალოს რობაქიძის—„ლონდა", შანშიაშვილის—„ბერდოზნამია" და გედევანიშვილის—„სინათლე".

მაგრამ ესენი ხომ თითქმის არც-ერთი არ არის ნამდვილი სათეატრო პიესა.

ესენი უფრო სცენიური სანახაობანია.

არც ერთ მათგანში არ არის ის დრამატიული ან კომიკური სულის ქშენა, რომელიც ძალაუნებურად ინათესავებს მაყურებელს და თავისი ანდამატურის ძლიერებით ჰბოჭავს მის ყურადღებას თავით ბოლომდის.

ეგეთ სიმბოლიურ სანახაობას ჰქონდა თავისი ხანა ცხრაას ათიან წლებში. მაგრამ შემდეგ კი ფსიქოლოგიურმა და სოციალურ-რევოლიუციონურმა ნაკადმა ხელოვნებაში მაგ დარგის შემოქმედება უკან ჩამოაყენა.

და დღეს კი ქართული თეატრის რეპერტუარში ერთ ახალ ორიგინალურ პიესასაც ვერა ვხედავთ, რომელიც დღევანდელ სულისკვეთებას, ერის სიცოცხლესა და მსოფლიოს რევოლიუციონურ ღრტვინვას პატარა ზარების რეკვით მაინც შეიგებოს.

ისეთი პიესები, როგორიც არიან „მზის დაბნელება", „გაყრა" და სხვა კარგნი არიან ხილათ, წარსულის მოსაგონებლად.

მაგრამ მათით რომ ვასაზრდოვოთ თანამედროვე გემოვნება და ხელოვნების დედა-ბოძათ გავხადოთ, ეს მხოლოდ ხელოვნების დაქვეითებას მოასწავებს და არა მის საზეიმო წინსვლას.

როგორც ჰხედავთ — ახირებით ჯვარს უსვამთ მომავალი სეზონის რეპერტუარს.

მაგრამ ამ წერილის კითხვის დროს მე ვგრძნობ დღევანდელი თეატრის მესვეურთა ჟინიან შეკითხვას:

—არის თანამედროვე ქართული დრამატიული მწერლობა და ჩვენ არ ვისარგებლეთ?

მეც სწორედ მთავარ საკითხად ეს მიმაჩნია და ამაზე უნდა გიპასუხოთ.

ლევ. მეტრეველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მუშები თავის კლუბებში უნდა დაიარებოდნენ ხშირად.

ამხ. ლენინის თამბაქოს ფაბრიკაში არის კარგად მოწყობილი კლუბი, სადაც დაარსებულია რამოდენიმე წრე და მუშაობაც კარგად მიმდინარეობს. ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ არის ერთი ნაკლი, სახელდობრ ის, რომ ამ კლუბში მუშები მხოლოდ განსაზღვრულ დროს მოდიან, მაგალითად როცა იმართება სალამო—სპექტაკლები. ასეთები იმართება ორ კვირაში და ხან თვეში ერთხელ.

მიუხედავად იმისა, რომ ფაბრიკის მუშები თითქმის ყველა ფაბრიკასთან ახლო დგანან, ისინი ამ კლუბში ასე იშვიათად დაიარებიან.

საჭირო კი არის, რომ საერთოდ საღამოობით და მუშაობის შემდეგ მუშები მასსიურად შედიოდენ ამ კლუბში და იქ რამოდენიმე დროს გონებრივ მუშაობასაც მოანდომებდენ.

ფაბრიკის კომუჯრედმა და ადგილკომმა ყველა ზომები უნდა იხმარონ და აღნიშნული კლუბი გახადონ მუშებისთვის ყოველთვის მისაწვდომად და სულიერად დასასვენებელ კუთხედ.

მუშკორი მახსო.

მუშები შეშით უნდა იქნან უზრუნველყოფილი.

ახლოვდება ზამთარი, ორი-სამი კვირის შემდეგ დაიწყება სიცივეები. მუშა-მოსამსახურეს, რა თქმა უნდა, სჭირდება შეშა. მუშა თავისი ჯამაგირიდან ვერ შესძლებს ყველა მოთხოვნილებასთან დამატებით შეიძინოს შეშაც. ამისათვის ამ გარემოებას, საჭირო ორგანოებმა დროზე უნდა მიაქციონ ყურადღება და გამოსძებნონ საშუალება, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს მუშის ეს მოთხოვნილებაც.

უახლოეს უსაჭიროეს საგნებზე ისეთი ფასებია რომ ვერ გაეკარები ახლოს. ამასთან ერთად შეშის ფასმაც აიწია ძალზედ. თუ ეხლავე არ დაამზადა შეშა მუშამ, მაშინ მისთვის ზამთარი იქნება აუტანელი.

ამისათვის მუშა-მოსამსახურეს ეხლავე უნდა დაურიგდეს კრედიტის სახით ფული ამ აუცილებელი საჭიროებისათვის.

ამის შესახებ ბევრი იწერება მუშა-თანამშრომლების მიერ, მაგრამ ერთხელ კიდევ გავახსენებთ სათანადო ორგანოებს, რომ შეშის ფულის დარიგების საქმემ არ დაიგვიანოს.

მუშკორი მხილებელი.

მოვითხოვთ გამოძიებას

(ქუთ. საექიმო სასანიტარო პროფკავშირის საყურადღებოდ).

2 სექტემბერს ქუთ. გამასწორებელ სახლის საავადმყოფოში მოხდა შტატის შემცირება ამ შტატის შემცირება წილად ხვდა გამასწორებელ სახლის ჰირისუფლებს: ბატონ ალექსანდრე ხურციძეს და ქალბატონ ოლია ლალიძეს. ამათმა შეიმუშავეს გეგმა უკავშიროდ და თვითონვე გადაწყვიტეს მუშების ბედიბალი. ამათ შესამცირებლად სახეში ჰყავდათ ისეთი პირები, რომლებიც მათ უსაქციელობას პირში ეუბნებოდნენ. ამ საავადმყოფოში იყო წევრი ერთად-ერთი კომ. კავშირის, რომელმაც სანამდის შტატი შემცირდებოდა, 3 დღის წინ, უჩივლა მათ კავშირში, სადაც ის ბრალსა სდებდა მათ მუშებისადმი უხეშად მოპყრობას და სხვას. ხშირად უხდებოდათ მათი პირადი საქმისათვის მუშებს მოცდენა სამსახურიდან და მათივე ოჯახებში მუშაობა. ამიტომ როდესაც ისინი შტატს ამოკლებდენ სახეში ჰყავდათ მათ მათთვის „ჯიუტი ურჩი“ მაგრამ კანონიერებისთვის ამხანაგები, როგორიც იყო, მაგ. მუდამ მებრძოლი კომ. კავშირის წევრი. მათ, რასაკვირველია, ასეთი მოკრიტიკეს—თავიდან აცილება მოინდომეს და კიდევაც აასრულეს ეს უკავშიროდ. ის დაითხოვეს სამსახურიდან, უმიზეზოდ როგორც ბევრი სხვებიც. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება და დანიშნულ იქნეს გამოძიებაც ჭეშმარიტების აღსადგენად.

პარტსკ. კურსანტი დავითაია

ეს ასე არ უნდა ხდებოდეს

(პროფკავშირთა საბჭოს და კულტ-(უჯრედების საყურადღებოდ).

შემჩნეულია სხვათა შორის, რომ წარმოდგენებზე, და ოპერაზე, რომელნიც იმართება სახელმწიფო ოპერის თეატრში პროფკავშირთა წევრთათვის, უმრავლესობა არა მუშური ელემენტია აქ ისევ ხედავ იმ გასუქებულ სპეკულიანტებს და მაღალ მოხელეობას, რომელთაც შეუძლიანთ ოპერის მოსმენა სხვა დღეებშიაც. მუშები კი რაღაც მორიდებული არიან. პროფესიონალურ კავშირებს მართებთ ეს უფასო ბილეთები ოპერაში მხოლოდ მშრომელთ დაურიგონ და არა ნაცნობობით ვილაც შემძლებელ და მდიდარ ხალხს, რადგანაც ოპერა განსაზღვრულ დღეებში იმართება მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის და სინამდვილეში ვხედავთ კი სულ სხვას.

ადგილობრივ ქარხანა—სახელოსნოებში კულტუჯრედები ვალდებულნი არიან სასტიკად დაიცვან ზომიერი და სამართლიანი განაწილება ბილეთებისა, თორემ ოპერა მუშებისათვის კი არა სხვებისთვის იქნება.

მუშკორი ი.—ელ.

ჩვენი მუშების დახმარება გერმანიის პროლეტარიატისთვის

მიმდინარე წლის 9 ოქტომბერს, ს ნიტარულ განათლების სახლში შესდგა კრება-მიტინგი შემდეგი დაწესებულების მუშა-თანამშრომლებისა—ჯანმრთელობის და შინსაქმეთა კომისარიატები, დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება, საბებიო და ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტი, და ტფილისის აფთიაქები. სულ კრებას დაესწრო—431 თანამშრომელი.

გერმანიის ამბების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბალტინმა. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო გერმანიის ამბებს და აღნიშნა, რომ გერმანიაში იწყება გადამწყვეტი ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შორის.

მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში კრება ადგენს: გაეგზავნოს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს მხურვალე სალამი. კაპიტალისტური ქვეყანა,, რომელიც ინგრევა შინაგან წინააღმდეგობათა ზეგავლენით, წარმოადგენს ქაოსს, მშრომელთა სისხლის მორევს და განსახიერებულ სიცრუეს. უკანასკნელი დროის ისტორიამ ნათლად დაამტკიცა ბურჟუაზიის სრული უძლურება მშვიდობიანობის დამყარების და სამეურნეო ცხოვრების აღდგენის საქმეში. საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლით თვალყურის დევნება გერმანიის პროლეტარიატის გმირულ ბრძოლისადმი საერთაშორისო ბურჟუაზიასთან. საჭიროა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის ბედს სწყვეტს გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლა საერთაშორისო ბურჟუაზიასთან.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას ამ ბრძოლაში!

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს!

დასასრულ კრება ავალებს დამსწრე დაწესებულებების ადგილკომებს დაუყოვნებლივ შეუდგენ სათანადო შემოწირულებათა შეგროვებას გერმანიის მუშებისთვის რეალური დახმარების აღმოსაჩენად.

მუშკორი ა. ნ.

პროვინციაში

იანეთის სადგური

ეწრის „მეთვალყურე“ ქვეყანას ამცნობს (იხ. „კომუნისტი“ № 231), რომ სადგურ იანეთის ასაშენებლად ვარგა არა იანეთის მიდამოები, არამედ „კურორტი“ ლაქაშნარა, ეწრის მიდამოებიო.

მეთვალყურეს ამ შემთხვევაში უფრო კუთხური ინტერესი ამოძრავებს, ვიდრე საზოგადოებრივი. მეთვალყურე მიმართავს ისტორიას და ამბობს, რომ 80 წლის გახმაულობაში ბაქან იანეთს არავითარი კულტურული და ეკონომიური ცვლილება არ მოუტანია იმ რაიონისათვის, და მის ახლო მოსახლეობა არ გაჩენილაო. თუ ასეთ მსჯელობას გავყვებით, მივალთ ისეთ დასკვნამდე, რომ, დაწყებული პეტროგრადიდან ვიდრე ბათომამდე და ფოთამდე, უნდა იქნან მოშლილნი ისეთი სადგურები, სადაც არავითარი მოსახლეობა არ არის. მაგრამ რკინის გზის ლიანდაგი თითქმის ყველგან მიჰყვება დასახლებულ მიდამოების განაპირათ, და სადგურები, ადგილობრივი ეკონომიური პირობებისა და რკინის გზის ტეხნიკურ მხარეების მიხედვით შენდება. იანეთის ბაქანი სწორედ წარმოშობილია დიდი ჯიხაიშის რაიონის ეკონომიური პირობებით. ის გაშენებულია იანეთის მოსახლეობის განაპირათ სულ ასი საჟენით და მაინც და მაინც საჭიროება არ მოითხოვს, დიდი ჯიხაიში და იანეთი აყარონ და დასახლდნენ თვით ბაქანთან. საერთოდ, რკინის გზა არ მოითხოვს რათა ყველა მოსახლეები აიყარონ თავიანთ ბინიდან და დაესახლონ სადგურებთან, ასეთი აზრი მხოლოდ მეთვალყურეს თუ მოუვა თავში. თავისთავად ცხადია, ხალხის გამრავლების შემდეგ, ხვარის ეკონომიური და კულტურული ძალების განვითარება დროთა გახმაულობაში თავს მოუყრის მოსახლეობას იანეთის სადგურთანაც. შემდეგ მეთვალყურე განაგრძობს, რომ იანეთლებმა დააარსეს ბაზარი, დუქნები და სხვა, მაგრამ ყველაფერი გაჰქრა, რადგან იანეთი მოწყვეტილია სხვა თემებსო. მართალია, იანეთმა დიდი ჯიხაიშის დახმარებით შექმნა ბაქანთან ბაზარიც და სხვა კულტურული დაწესებულება 1912—13 წ., მაგრამ მსოფლიო ომმა გაანადგურა არა მარტო იანეთის ბაზარი და საერთოდ წარმოება, არამედ უდიდესი ქალაქების და სახელმწიფოების, და რა გასაკვირია, თუ იანეთში დღეს ბაქანთან შენობებს ვერ ვხედავთ. სამაგიეროთ საბჭოთა ხელისუფლება აქ ააყვავებს რაიონის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

მეთვალყურე აღნიშნავს, რომ იანეთის ბაქანს არავითარი ეკონომიური და კულტურული მნიშვნელობა არ აქვსო. ესეც სიმართლეს მოკლებულია. დიდი ჯიხაიშის ბაზარი იზიდავს ყოველ მხრიდან მოსახლეობას, სამეგრელოდან, ქუთაისიდან, ტფილისიდან, ზემოთიდან, ბაღდადიდან და ყველანი იანეთის ბაქნით მიეშურებიან დიდ ჯიხაიშში. მეთვალყურე ვერ ყოფილა კარგი მეთვალყურე, თორემ დაინახავდა, რომ იანეთის ბაქანზე ყოველ დღე, ყოველ მატარებელზე მიემგზავრება და ჩამოდის საშუალოდ 50 კაცამდე და დიდი ჯიხაიშის ბაზრობის დროს ეს რიცხვი აღემატება 100—200. რკინის გზის ეკონომიურ განყოფილებას კარგად აქვს გამორკვეული, თუ რა ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ამ სადგურს. აქვთ სტატისტიკური ცნობები, რომ ამ ბაქნის შემოსავალი დიდათ წააჭარბებს არსებულ პატარა სადგურების შემოსავალს, და აი ამისათვის არის, რომ რკინის გზის სამმართველომ აქ დაარსა საბილეთო კასა, მაშინ როცა არც ერთ ბაქანს კასები არ აქვთ. მეთვალყურეს არ სურს ეს გაიგოს, კეთილ ინებოს მობრძანდეს და გაეცნოს ყოველივე ამას და არა ასე უსაფუძვლოდ წეროს.

მეთვალყურე ეყრდნობა იმას, რომ წყალდიდობის დროს გუბის წყალი მიდამოს ფარავსო. ჯერ ერთი, ასეთი მოვლენა ათასში ერთხელ მოხდეს ევებ, და მეორე, წყალდიდობის დროს იფარება არა თუ იანეთი, ან ჯ. ხაიში, არამედ მეთვალყურეს მიერ შეყვარებული, „კურორტი“ ლაქაშნარა, ასევე ემართება სამტრედიასაც, და ყველა სადგურებს საერთოდ, რომელნიც გაშენებულია მდინარის პირად. ფოთი, ქვალონი და სხვა სადგურები ყოველ წლივ წყლით იტბორება, მაგრამ ჯერ არავის მოსვლია აზრად, გარდა მეთვალყურისა, მათი მოშლა.

ბოლოს მეთვალყურე მიგვითითებს მშვენიერს „კურორტ“ ლაქაშნარზე, რადგანაც თურმე მათ გაუყვანიათ გზატკეცილი ჯიხაიშში. „კურორტი“ ლაქაშნარა ახლავს იანეთის ბაქანს ორი ვერსით, სამტრედიიდანაც ორი ან სამი ვერსია, ასე რომ როცა სამტრედიიდან მატარებელი გამოვა, თავი ექნება ლაქაშნარაში და ბოლო კი სამტრედიაში. სად არის აქ სწორი მხედველობა, განა შეიძლება ასეთი სიახლოვეზე სადგური აშენდეს, აი აქ არის მართლა კუთხური პოლიტიკა მეთვალყურისა. ასეთი ახლო მდებარე სადგურები დასაშვებია მხოლოდ დიდრონ სამრეწველო რაიონებში, და არა ჩვენში. ახალი გაყვანილი გზა არ არის გზატკეცილი, ამისათვის მხოლოდ ავანტიურისტების მოთხოვნილებით და ქინაიობით იქნა გაჩხილი მუშა გლეხების ყანები, ამ შემთხვევაში ზარალი მეტია ვიდრე მოგება; გზატკეცილი, სახელმწიფო გზა იწყება ხონიდან, გაივლის შუა ივანდიდს, გოჩა ჯიხაიშს, თვით ჯიხაიშს, იანეთს და მიადგება ბაქანს. ეს საქართველოს რუკაზედაც არის აღნიშნული. მეთვალყურე ამბობს, რომ ხალხი ძალით ჩაითრიეს მუშაობაშიო. ჩვენ ხელთ გვაქვს მთელი რიგი დადგენილებები იანეთის, დიდი ჯიხაიშის და სხვა თემების, რომელთაც სურვილი გამოსთქვეს სადგურის აშენებაზე და მიწის მოზვინვაზე სწორედ იმ ალაგას, სადაც ეხლა ეს საზოგადოებები მუშაობენ, ე. ი. ბაქანთან და არა ლაქაშნარში.

ყოველივე ტეხნიკური მხარეები ამ სადგურისა გამორკვეული აქვს რკინის გზის სამმართველოს ტეხნიკურ და ეკონომიურ განყოფილებებს, დამტკიცებულია მთავრობის მიერ, მუშაობა სწარმოებს ინჟენრის მეთვალყურობით და გამომუშავებულ გეგმის მიხედვით. ამ საერთო შრომის ფრონტს ეწერმა უპასუხა ბოიკოტით. ბოლოს რაღაც ორმოებზე მიგვითითებს მეთვალყურე და მოითხოვს სადგურის მუშაობის შეჩერებას.

საბჭოთა ხელისუფლება არ გამოსტაცებს მუშებს და გლეხებს თავისი შრომით შექმნილ სადგურს, პირიქით კიდევ უფრო მეტი ენერგიით დაეხმარება მათ ამ დიად შრომის ფრონტზე

იანეთის სადგურის საალმშენებლო კომისიის წევრები:

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე **ვალერიანე ვაშაკიძე.**

სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარე **აკ ლეკვეიშვილი.**

სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჯვარშეიშვილი.**

ტობანიერის თემი (ქუთაისის მაზრა)

ტობანიერის თემი შედარებით ქუთაისის მაზრაში დიდ თემად ჩაითვლება. ამ თემში არსებობს ერთი მთლიანი შრომის სკოლა და კიდევ დაახლოებით ათამდე პირველი საფეხურის ოთხ-ჯგუფიანი სასწავლებლები. სოფლებში აღნიშნულ სასწავლებლებში მოწაფეთა რაოდენობა დიდია, მხოლოდ სკოლის შენობები საკმარისად არა აქვთ, რაიც ძლიერ აფერხებს სწავლის საქმეს.

მცხოვრებლები შეუდგენ სასწავლებლის შენობის აგებას. ამ შენობის აგების შემდეგ სკოლების შენობების ირგვლივ ამ თემში ერთხელ და სამუდამოდ წყდება საკითხი. მცხოვრებლები ყოველდღე გულმოდგინეთ, დასტრიალებენ სკოლის შენობის აგებას. შრომას და ენერგიას ისინი არ ზოგავენ, ვინაიდგან ესენი მათ ხელშია, სასყიდლად არ აქვთ. მაგრამ მარტო ეს როდი კმარა? საჭიროა თანხაც, რომლის გამოღებაც სოფლელ გლეხს არ შეუძლია. საჭიროა დახმარება.

მოკლეთ უნდა შევეხო კულტურულ წრეებსაც, როგორც მაგ. დრამატიული და ლიტერატურულ წრეები, რომელნიც ამ თემში არსებობენ. დამწრე თითქმის 10 წელია, რაც არსებობს, ლიტერწრე კი წელს ზაფხულში დაარსდა სტუდენტების ინიციატივით, ამ უკანასკნელმა საზოგადოებაში მეტი კვალი დასტოვა, ვინემ პირველმა.

ამ თემში არსებულ სამკითხველოზე ბევრი დაწერილა, რომ ის უნუგეშო მდგომარეობაშია, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. თემს ექიმი არ ჰყავს, რაიც ძლიერ საჭიროა. არჩეულია ხალხის მიერ ექიმის მომწვევი კომისია, რომელსაც ჯერ-ჯერობით ეს საქმე არ მოუგვარებია. საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მოაგვარონ ეს საქმე.

ამ თემში ბაზრობა იციან კვირაობით, სოფ. შუა-მთაში, სადაც ჩამოდის მდინარე ყუმური. ამ ყუმურის ზედაპირი და ბაზრის ხმელეთის ზედაპირი თითქმის გათანასწორებულია ასე, რომ პატარა წვიმის მოსვლა და ამ მდინარის გადიდება უქადის ამ ბაზარშივე გაშენებულ საზოგადოებრივ დაწესებულებებს, სკოლას კოოპერატივებს, სახალხო სახლს საწყობებს, კანცელარიას და მრავალ სხვა კერძო სავაჭროებს წალეკვას. ამისთვის წასულ წელს განიზრახეს დამბის და არხის გაკეთება. ათასობით მუშა ეხვია ამ სამუშევარს ურმებით და ნიჩბებითაც, მაგრამ ნაყოფს ვერაფერს ვერ ვხედავთ. ეს უნდა მიეწეროს ადგილობრივ აღმასკომის უთავბოლობას. ასევე დაიწყეს მოსარწყავი არხის გაყვანაზე მუშაობა, რომელიც მრავალ თემებში უკვე გათხრილია, მაგრამ დღეს მიტოვებულია დაახლოვებით ოცი ვერსის მანძილზე გაჭრილი არხი, რომელიც თითქმის ამოვსებულია.

კოტე ხულაზერიძე.

ბანძა (სენაკის მაზრა)

ბანძის მშრომელი ხალხი დიდი ყურადღებით ეკიდება კოოპერატიულ საქმეს. ბ ბანძაში არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „ნიხლის“ სახელწოდებით. ბანძის კოოპერატივს აქვს დიდი ხნის ისტორია; ის არსებობდა მენშევიკების დროსაც. მაგრამ ეს კოოპერატივი მენშევიკების რეჟიმის დროს გაკოტრების გზას ადგა, ვინაიდან მაშინდელმა კოოპერატორებმა საკუთარი ინტერესები, კერძო ჯიბე მაღლა დააყენეს საზოგადო ინტერესებზე, ჩაჰკლეს იდეა კოოპერაციისა და მით ეს დაწესებულება დაამზგავსეს სასპეკულიანტო დაწესებულებას, თავი კი მოჰქონდათ მშრომელი ხალხის დამცველებათ.

მაგრამ მოხდა თუ არა საქართველოს გასაბჭოება, ოქტომბრის ძლიერმა სხივმა აქაც შეანათა. კოოპერატივს დაეტყო გამოცოცხლება. ის აკმაყოფილებს თავის წევრებს პირველი მოთხოვნილების საგნებით, როგორიც არის მაგ. ნავთი, მარილი, ძაფი, წუმწუმა და პური და სხვა. მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა ახლად არჩეულ გამგეობას, რომელშიაც შედიოდენ ისეთი ენერგიით აღსავსე პირები, როგორც: იასონ ბართაია, ივანე ქექელია და გრიგორი გახოკია, მაგრამ მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა მათ შესძლეს კოოპერატივის შესაფერ დონეზე დაყენება, ის მედგარ ბრძოლას აწარმოებს მუშათა-კლასის სისხლისმსმელ ვაჭარ-სპეკულიანტების წინააღმდეგ, რომლებიც არავითარ ზომებს არ ერიდებოდენ მუშებისათვის ტყავის გასაძრობათ.

კირილე პატარაია

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 111

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

შავი ქვის მარგანეცის მრეწველობის შესახებ

სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის ივლისის 22-ს დამტკიცებული ცალკე დებულება ჭიათურის შავი ქვის (მარგანეცის) საზოგადოების ექსპლოატაციის შემდგომი პირობების შესახებ.

2. დაევალოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს და წარუდგინოს განსახილველად და დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს ახალი პროექტი ჭიათურის შავი-ქვის (მარგანეცის) მიწის ნაკვეთების საექსპლოატაციო მუშაობის პირობებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა

საქართველოს სოც. საბჭოთა რესუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სალარიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პროფესიონალური

პარასკევს 19 ოქტომბერს, სალ. 7 ს. განათლების მუშაკთა სახლში შესდგება წიგნარში (ბიბლიოთეკაში) მომუშავეთა საორგანიზაციო კრება.

კვირას, 21 ოქტომბერს, დღის 12 ს. კლუბებში მომუშავეთა საორგანიზაციო კრება. წინადადება ეძლევა რაიადგილკომებს განსაკუთრებულად აცნობოთ—ამის შესახებ კლუბის და წიგნთსაცავ-სამკითხველოს თანამშრომლებს.

შაბათს, 20 ოქტომბერს, სალ. 7 ს. შესდგება წრეებში ჩაწერილთა საორგანიზაციო კრება.

განცხადებები

თავზარდაცემულნი ეპისტიმა პავლეს ასული, პარასკევა ბესარიონის ასული, გიგი მალაქიას ძე, პეტრე, აკაკი და იონა გრიგოლის ძენი ანთელავები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 15 ამა ოქტომბერს საღამოს 8 ს. 30 წუთზე ტრაღიკულათ გარდაიცვალა პირველის შვილი, მეორის მეუღლე, მესამის მამა და სამ უკანასკნელთა ძმა, ძვირფასი

მალაქია გრიგოლის ძე ანთელავა

დაკრძალვა 18 ოქტომბერს, დღით ხუთშაბათს, ვერის ხიდით ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან ნაშუადღევს 3 ს. 30 წ. (ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4).

52 1—1

ომში დაჭრილთა არტელი „ახალი წრე“-ს წევრები: ს. გარუჩავა, ა. შოგირაძე, ს. ბერიძე, პ. კავჟარაძე, ვ. ანთელავა და ს. გელაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ ძვირფასი მეგობრის, გამგეობის თავმჯდომარე

მალაქია ანთელავას

უდროვოდ, ტრაღიკულ გარდაცვალებას ამა წლის 15 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე და 15 წუთზე. დაკრძალვა 18 ოქტომბერს საღამოს 4 საათზე. გამოსვენება ტელეგრაფის ჩიხი № 4-დან. 54 1—1

ღრმად დამწუხრებულნი საშა და ჩიქო გაბესკირიები აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ ა. წ. 15 ოქტ ტრაღიკულათ გარდაიცვალა მათი უძვირფასესი მეგობარი

მალაქია ანთელავა.

(53 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელენე დავითის ასული, მამა ივანე ვლადიმერის ძე ალავიძეები, და ბებია მართა დარისპანის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 15 ოქტომბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი პატარა

ვენერა

დაკრძალვა მოხდება 18 ოქტომბერს დღის 4 საათზე წმიდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 107. 58 1—1.

რუსთაველის თეატრი

დღეს, ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება

გაყრა

კომედია 4 მოქმ. გ. ერისთავისა.

676 1—1.

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

დღეს, 18 ოქტომბერს,

ფაუსტი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

სალარო ღიაა 11—3 ს. და 6 ს. წარმოდ. დამთავრებამდე

ადმინისტრატორი პუშკოვი.

სამხატვრო ნაწილის გამგე ივ. ფალიაშვილი.

1—1

კვირას, 21 ოქტომბერს

გამოვა პროლეტარულ მწერალთა კავშირის

ყოველ-კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო

გაზეთი

„ორიონი“

ჯერ-ჯერობით გაზეთი იქნება ჩვეულებრივი ფორმატის.

(4—2)

სავალდებულო დადგენილება № 40

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა ქუჩების და ქვაფენილების განათებისა და მათი სისუფთავის დაცვის შესახებ

15 ოქტომბერი, 1923 წ.

1. განათება და სათანადო სისუფთავეში შენახვა ქუჩების და ქვაფენილების, რომელნიც ემიჯნებიან სახლებს, სავაჭრო-სამრეწველო სადგომებს და სხვადასხვა პირის და დაწესებულებების შენობებს, ევალებათ ამ სახლების შენობების პატრონებს და სავაჭრო-სამრეწველო სადგურების მოიჯარადრეებს.

2. სახლების და შენობების პატრონებს და აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველოს სადგომების მოიჯარადრეებს ევალებათ ქუჩების გასანათებლად იქონიონ ფანარი ჭიშკარზე, ქუჩიდან შესავალ სადარბაზო კარებზე და სავაჭრო-სამრეწველო სადგომების შესავალ კარებზე.

ჭიშკარზე და სადარბაზო შესავალ კარებზე ჩამოკიდებულ ფარანზე უნდა იყოს აღნიშნული ქუჩის სახელი, სახლის პატრონის გვარი და სახლის ნომერი, სავაჭრო-სამრეწველოს კარებზე ჩამოკიდებულ ფარანზე კი სახელი სავაჭრო დაწესებულების და გვარი მისი პატრონის.

3. ქუჩების და ქვაფენილების გასუფთავება სახლის და შენობების პატრონების მიერ და სავაჭრო-სამრეწველო სადგომების მოიჯარადრეების მიერ უნდა ხდებოდეს არა ადრე ღამის 12 ს. და არა უგვიანეს დილის 8 ს.

4. ნაგავი, ტალახი და თოვლი უნდა გროვდებოდეს სახლების წინ პატარ-პატარა ხვავებათ და იმ დღესვე უნდა გადატანილ იქნეს მათ გადასაყარ ადგილზე, ან და უნდა შეტანილ იქნეს ეზოში, რომელიც თავის მხრივ უნდა სუფთავდებოდეს ნაგავის დაგროვებისთანავე.

5. აკრძალულია ყოველგვარი უწმინდურების და ნაგვის გადაყრა, უსუფთავო წყლის გადაღვრა და აგრეთვე ტანთსაცმელის, ხალიჩების და სხვა ამნაირი საგნების გაბერტყვა.

6. ზემოაღნიშნული მოთხოვნილებანი წარედგინებათ სახლის პატრონებს და სავაჭრო-სამრეწველო სადგომების მოიჯარადრეებს, მათი უყოვლობის გამო კი მათი ქონების გამგეებს ან მოიჯარადრეებს.

ქუჩების და ქვაფენილების განათება და გასუფთავება იმ სახლებისა, შენობებისა და სავაჭრო-სამრეწველო სადგომებისა, რომელიც ეკუთვნიან სხვადასხვა დაწესებულებებს, უნდა მოეთხოვოს იმ პირთ, რომელნიც განაგებენ ჩამოთვლილ ქონებათ.

8. დამნაშავენი ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევაში დაისჯებიან: დაპატიმრებით ორ თვემდე, ან ჯარიმით 100 ჩერვ. მანეთამდე.

9. ქალაქის მილიციას ევალება ამ სავალდებულო დადგენილების შეურყევლათ ცხოვრებაში გატარება.

თავმჯდომარე **სუხიშვილი.**

(კრ. 678 1—1) მდივანი **თიკანაძე.**

სავალდებულო დადგენილება № 3

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის

ავტომობილებზე, მოტოციკლეტებზე და ველოსიპედებზე გადასა
შემოღების შესახებ

15 ოქტომბერი, 1923 წ.

1. დაწესდეს როგორც ქალაქ ტფილისში, ისე მის მაზრაში ხადი ველოსიპედებზე, მოტოციკლეტებზე და ავტომობილებზე.

შენიშვნა: გადასახადისაგან თავისუფლდებიან ველოს მოტოციკლეტები და ავტომობილები, რ ეკუთვნიან სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ ბულებებს.

2. გადასახადი დაწესდეს ნახევარ წლისათვის ჩერვონეცის მან შემდეგი რაოდენობით:

ა) ველოსიპედებზე . . . . 1 მ.
ბ) მსუბუქ ავტომობ. და მოტოციკლეტებზე თვითეულ ცხენ. ძალაზე . . 2 მ.
გ) საბარგო ავტომობილ. თვითეულ ცხენის ძალაზე . . . . 1 მ.

3. 1923 წ. მეორე ნახევრის გადასახადის გადახდის უკანასკნ დათ გამოცხადდეს ამავე წლის 1 ნოემბერი.

4. აღნიშნულ ვადაზე შემოუტანელი გადასახადი გადახდეს ა ტრატიულ წესით დღიურათ 2 პროც. საურავის აღრიცხვით.

5. ყოველი დაწესებულება ან მოქალაქე, რომელსაც აქვს ვე დები, მოტოციკლეტები და ავტომობილები, ვალდებულია ა. წ. ბრამდე შეიძინოს აღმასკომისაგან სათანადო საალრიცხვო ნომრებ

6 ველოსიპედები, მოტოციკლეტები და ავტომობილები, სათვის 1923 წ. 1 ნოემბრამდე არ იქნება შეძენილი აღმასკომის მერი და შემოტანილი სავალდებულო დადგენილებით გათვალისწ გადასახადი, დაკავებულ იქნებიან მილიციის მიერ.

ტფ. აღმასკომის თავმჯდომარე—**სუხიშვილი.**

მდივანი—**თიკანაძე.**

კრ. 677—1—1

ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილება აცხ

შეჯიბრებას

ტფილისის მილიციის საჭიროებისათვის მოიჯარადრის მასალიდან 7 ნელის, 160 ნაბდების და 950 წყვილი ფეხსაცმელების დამზადებ

შეჯიბრება დანიშნულია ამა წლის 20 ოქტომბერს, დღის 12 განყოფილების სამმართველოს შენობაში (ლ. ლუშაძის ქ № 7) ოთახ შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა უნდა წარმოადგინ ყოფილებაში ნაჩვენებ მისამართით არა უგვიანეს დღის 2 საათისა 19 ოქტომბრისათვის შეკრული ნიმუშები შინელის, ნაბდების და მელისა და განცხადებები ღირებულების და შეკვეთილი ტანისა ფეხსაცმელების დამზადების დროს აღნიშვნით.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნეს დალუქულ პაკეტებში, საც უნდა დაურთონ ცნობა მათ მიერ განყოფილების სალაროში ნილის შეტანის შესახებ.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განყოფ სამნეო ნაწილის უფროსს.

განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი თაქთაქიშვ

(კრ. 672 2—2) ადმინისტრატიული ნაწილის უფროსი ახვლედ

ს. ს. ს. რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატ

აცხადებს, რომ ლოტოზე მისთვის მინიჭებული მონოპოლიის უფლებ ლით ინიშნება 19 ოქტომბერს

საჯარო ვაჭრობა

ქ. ტფილისის სხვა და სხვა რაიონებში 3-4 კლუბში პროცენტების რიცხვის საფუძველზე ლოტოს იჯარით გაცემაზე.

ის პირები, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, ამის შესახებ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარს ამხ. რიკს ან მის მოადგილეს ამხ. ცინცაძეს წერილობით განცხადებას კონვერტში შემდეგი წარწერით: „კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ლიდების დამხმარე კომისიას 1923 წ. 19 ოქტომბრის საჯარო ვაჭ თვის“. ამ დღისათვის მოხდება კონვერტების გახსნა.

განცხადებას თან უნდა ჰქონდეს დართული ქვითარი სამხედრო კომიტეტის კასაში 20 ჩერვონეცის რაოდენობით გირაოს შეტანის გირაოს შეტანიდან არავინ არ იქნება განთავისუფლებული. იმ პირ რაო, რომელთაც არ ჩაბარდებათ ლოტო, დაუბრუნდება ფული საჯარო ვაჭრობის შედეგების გამორკვევისთანავე. იმ პირთა გირაო მელთაც გადაეცემა ლოტო, დარჩება დახმარების სამხედრო კომისიი უფრო დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე დილ თიდან 12 საათამდე (ქ. ტფილისი, რუსთაველის პრ. № 22, კავკას თელდროშოვანი არმიის დახმარების სამხედრო კომისიის შენობაში) ნული კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილესთან ამხ. ლუხ

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარია

(კრ. 674

ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს. ტყავეულობის მთავარი სამმართველო

(ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს მაღაზიასთან) № 5, სადგურის ქუჩაზე,

გახსნა წვრილად სავაჭრო განყოფილება,

სადაც იყიდება ტყავეულობისა და ქეჩის ფეხსაცმელ სხვადასხვა ხარისხის, და აგრეთვე ტყავისა და ქეჩის ტა საცმელი და ღვედებისა და საგალანტერეო ნაწარმოებები.

(კრა 670—3—3)

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

სწოლებით რენტგენი დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო აწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის**

ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (1252—8

საბავშვო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალ

გ. დ. ხანცინის

მედიცინის ექიმის **ვ. ვ. შენგელიძის**

მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობ შაბათობით. ყოველგვარი გამოკვლევანი. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. თაველის პრ. კუთხე) ტელ. 18 14. (46—25

დავკარგე პირადობის მოწმობა, მიღებული ბათომის მილიციის სამართველოდან, რაიც ჩაითვალო ქმებულად. ბეგლარ ნესტორის ძე ფალავა. 57 1

დავკარგე პასპორტი ალექსი ინაშვილის სახელზე. ჩაი გაუქმებულად. 56

დავკარგე მოწმობა № 4197. იმის შესახებ, რომ ვმსა ვ. პ. კ. პლანტაციის საქმის მწარმოებლად მითხოვეს შტატების შემოკლების გამო. ჩაითვალოს გაუქმებულად. მაჭავარიანი 55

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ბილეთი გრიგოლ ძე ახრახაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქ (51

დავკარგე სილარიბის მოწმობა კატო გაბიტაშვილის ჩაითვალოს გაუქმებულათ. (59—

სტამბა „ზარია ვოსტოკას“ რუზენშტეინ ის ქ. № 4.